რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 28 ივნისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

ფასი 7 კაპ.

165

გაზეთის ფასი: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და სადგურებზე(?) ორიოდე შაური. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება არა სათაური 5 მანეთი ... —6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... საგაზეთო მასალა რედაქცია არ იბარებს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და მის შესახებ არც მიწერ-მოწერას აწარმოებს.

ფულის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 83 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 83

ამხანაგებო! შეგვამჟენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

თფილისში მომუშავე სოფ. სამების (გურია) მცხოვრებნი ამხანაგები, ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ამხანაგ ს.-დ. მ. პ. წუწაკის

ილია (ილიკო) კირილეს ძე პატარავას

უდროოთ გარდაცვალების გამო. ვიზიარებთ ამხანაგების და მშობლების უსაზღვრო მწუხარებას.

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ალექსანდრე, შვილები: ნიკო, მიშა, ივანე, პეტრე, ვასილი და ნინა, მული მართა გიორგობერიძენი, მამა ფარნაოზი, ძმები: ვანო, ვიქტორი და რაფიელ, დები: მარიამი და კონა, რძალი გოგუცა ცინცაძეები, სიძე და და ივანე და ელისაბედი და დისწული მარიამი სხულუხიები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

თეოდორა ფარნაოზის ასულის გიორგობერიძისას.

რომლის დასაფლავება მოხდება დაბა ხონში.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

სოც.-დემ. საარჩევნო კომიტეტი მეოთხე სამილიციო ნაწილისა

იმყოფება კათოლიკეს ქუჩაზე კათოლიკების ეკლესიასთან. მორიგეობენ საარჩევნო კომიტეტის წევრები საღამოს 7—9 საათამდე. კომიტეტი სთხოვს იმ ამხანაგებს და მოქალაქეებს, ვინც სიაში არ არის შეტანილი მოვიდეს და განაცხადოს ამის შესახებ, რათა შეტანილ იქნას საარჩევნო სიაში. იქვე ხდება პარტიის წევრთა ჩაწერა და იყიდება ლიტერატურა.

სოც.-დემ. კომიტეტი მესამე სამილიციო ნაწილისა

(ბებუთოვის ქუჩა მესამე ქალთა გიმნაზია)

სთხოვს ამხანაგებს და მოქალაქეებს, რომლებიც საარჩევნო სიაში არ არიან შეტანილი, დაიჩქარონ ამის შესახებ განცხადების შემოტანა კომიტეტის ბიუროში ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე. იქვე ხდება წევრთა მიღება და იყიდება პარტიული ლიტერატურა 3—3

საარჩევნო ბიურო მე-10 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მიხაილოვის ქუჩაზედ № 102, ეზოში (ქართული წრის კანტორაში) და ავჭალის არდიტორიაში, სადაც შეიძლება, გამორჩენილი წევრების ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე დილის 10—12 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

საარჩევნო ბიურო მე-8 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია პანასკერის ქუჩა № 38, მეორე კომერციულ სასწავლებელში, დია 2—10 საათამდე. ბიურო ხელმძღვანელობს მთელ ჩუღურეთს.

რ. ს. დ. მ. პ.

საარჩევნო ბიურო მე-9 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მეცხრე უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე (რეუტოვის ქუჩა № 81) ტელეფონი 16—29. ყველა ის პირნი, რომელნიც არ არიან შეტანილი საარჩევნო სიაში ვთხოვთ გამოცხადდენ ჩასაწერათ საარჩევნო ბიუროში (რეუტოვის ქუჩა) ამხ. ლაბაურთან.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

1-ლ რაიონის კოლექტივი რ. ს.-დ. მ. პ.

ხსნის მუშათა კლუბს გოეტეს სახლში.

წევრათ მიიღება პარტიის წევრები და თანამგრძნობები. მოწყობილობის შესაძენათ და მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ წევრი იხდის წელიწადში 10 მანეთს.

პირველ ხანებში გაიმართება: ლექციები, საუბ-ბაასი სხვა და სხვა კითხვებზე, ბიბლიოტეკა, საჩაიე და სინემატოგრაფი.

დაიჩქარეთ ფულის შემოტანა. კლუბი გაიხსნება მოკლე ხანში.

1-ლ რაიონის კოლექტივი რ. ს.-დ მ. პ.

იყიდება „ვალდამერი“

გაბაევის შესახვევი № 1. ვარლამ რუხაძის სტამბა.

ქ. ქუთაისში.

ექიმი გ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 6—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; თფილისის ... სახ. შენობის პირდაპირ, სახ. ... ტელეფონი № 5—77.

ქუთაისში

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი

პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

თფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს

3—2 საშა ჩიგოგიძეს.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქუჩა, № 4, ... ტელეფ. 15—00.

სტუდენტი

ამზადებს ყველა სასწავლებლისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხის და წოდებაზე.

ვერა. ყაზბეგის ქუჩა № 5. 6—6

ქალის ექიმი

ს. ა. ლეჟავა

შინაგანი, ბავშვებისა და კანის ავადმყოფობა. მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დილის 8—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 52.

10—10

ექიმი მ. გ. ვეკუა...

... უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ... კანის და ვენერიული სნეულებით ... დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ... პირდაპირ, რაზნიცინის ქუჩა, № 19.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1.	ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10 კ.
2.	ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10 „
3.	მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
4.	„ „ „ ქართ.	5 „
5.	ძირს სოც. დემ. ბრალეს რუს.	20 „
6.	სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულათ	20 „
7.	... წიგნაკი ქართულათ	20 „
8.	საყოველთაო საარჩ. უფლება რუს.	15 „
9.	ოთხი ძმა ქართულათ	35 „
10.	კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
11.	კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
12.	აგრარულ პროგრ. კრიტიკა რუს.	15 „
13.	შრომა და კაპიტალი ქართულათ	35 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოც. დემოკრ. რუს. 20 „
2. დამფუძნებელი კრება რუსულ. 25 „
3. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართულათ.
4. ს. დ. პ. პროგრ. სომხურათ და თათრულათ.
5. დამფუძნებელი კრება თათრულათ.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოცეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კასპის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—3 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა სახლის ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ერობა კავკასიაში.

დიდი რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთის იმპერიის განაპირა მცხოვრებნი შიდა გუბერნიის მცხოვრებთ გაუთანასწორა და „ინოროდცების“ მაგიერ სრულ უფლებიან მოქალაქეთ გადააქცია. ის რაც საუკუნის განმავლობაში ზოგიერთა კუთხეების მცხოვრებთა საოცნებო საგანს შეადგენდა—დღეს ერთი დაკვრით მოიპოვეს და სხვა და სხვა ერთა შორის სრულ უფლებიანობა დამყარდა.

დროებითმა მთავრობამ—შინაგან საქმეთა მინისტრის პირით ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს აცნობა, რომ კავკასიის თვითმიერის მიერ დადგენილების გამო კავკასიაში დაფუძნებელივ ერობა იქნას შემოღებული. და ეს ერობა დამყარებული იყოს ოთხფეროვან(?) საარჩევნო სისტემაზე. დასახელებული სამინისტრო უკვე შეუდგა ერობის პროექტის შემუშავებას და იგი სულ მოკლე ხანში დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებული იქნება.

დიან რევოლუციის ხანაში დემოკრატია უფლებას ხელში გდებულობს და მის გაძლიერებასთან ერთად უფლებას პოულობს მთელი განაპირა—უფლებას მოკლებული ხალხიც.

ძველი რეჟიმის დროს—ბიუროკრატიული მთავრობა განაპირა კუთხეებისათვის 90 წლის ერობასაც არ იმეტებდა და უკანასკნელი ცენზიანი ადგილობრივი მართველობაც კი ძველი მთავრობის დამღუპველ ინსტიტუტათ მიაჩნდა.

ჩვენ კარგათ გვახსოვს თუ 90 წლის საერობო მართველობის შემოღების შესახებ ამიერ კავკასიის ერობის თაობაზე ქართველმა ნაციონალისტებმა მთელი კამპანია გასწიეს და მეფის მოადგილის გარშემო მუცელზე ხოხვა დაიწყეს, რომ დასახელებული წლის ერობა ამიერ კავკასიისათვის ებოძებიათ.

თვით ჩვენი დემოკრატიის საუკეთესო დამცველები სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან ამიერ-კავკასიაში ლიბერალური ერობის შემოღებას მოითხოვდენ, მაგრამ მათ სამართლიან მოთხოვნას ძველი რეჟიმის ბატონპატრონები ანგარიშს არ უწევდენ და საერობო პროექტები ბიუროკრატიის კანცელარიის არქივში იკარგებოდა.

მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა და რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები მოექცენ და უკანასკნელები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგებში დემოკრატიულ მართველობას ამყარებენ.

ჩვენც გარეშე რევოლუციონური კლასები და მისი ორგანოები ამიერ კავკასიაში დემოკრატიული ერობის შემოღებას მოითხოვდენ და მას დაფუძნებელივ ცხოვრებაში გაატარებდენ. დღეს თუ ხვალ ამიერ კავკასიაში დემოკრატიული ერობა შემოვა, მის გარშემო დემოკრატიულ საარჩევნო უფლების მეოხებით დემოკრატიული ელემენტები თავს მოიყრიან და უკანასკნელ ფერით მისის ეკონომიური და პოლიტიკური უფლების დამცველ ორგანოთ გადაიქცევა. განსაკუთრებით ახლა—რევოლუციის ხანაში ამიერ კავკასიის დემოკრატიისათვის რევოლუციონური ორგანოთ გადაიქცევა, მის გარშემო რევოლუციონური ელემენტები თავს მოიყრიან და უკანასკნელის გაღრმავებას ხელს შეუწყობენ. დიახ, დემოკრატიის მიერ მოპოვებული დემოკრატიული ერობა მის ბრძოლის იარაღათ უნდა გადაიქცეს და რევოლუციის მიერ წამოყენებული მოთხოვნები განახორციელოს და გაფართოვდეს. უკანასკნელი გარემოება კი ბევრს ხელს შეუწყობს დამყარების დემოკრატიული რესპუბლიკა.

შავრაზმული გამოსვლა.

მოხდა ის, რასაც ჩვენ კი ხანია ველოდით. ბოლშევიკთა გარშემო თავმოყრილი ბნელი ელემენტები უკვე სამოქმედოთ დაირაზმნენ.

სტუტ მოდამ ძალდატანებას ეძიოდა, რომ მოწინააღმდეგე დაიფრთხოს და მას თავზარი დასცეს. წინაპით ისე იქცეოდა მეფის მთავრობა, ამავე სჩადიან დღეს ბოლშევიკები. კვირის მიტინგმა საბედისწეროთ მათ საქციელში სამარცხვინო დაღი დასვა, ვინც მიტინგს დაესწრო, მისთვის ნათელი იყო, რომ იმ ხულიგნების ხელმძღვანელებათ, რომელთაც სცემეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პროპაგანდისტები, ყველგან ბოლშევიკები გამოდიოდენ. მათ მოაწყვეს იმ „პალოჩნიკთა“ ბრბო, რომელიც მუშტი-კრივით უმასპინძლდებოდა ყველას, ვინც კრიტიკულათ უყურებს ბოლშევიკების მიერ წამოსროლილ ლოზუნგებს.

ეს ცოცხალ ხულიგნობამ ბრბომ არც ბოლშევიკები დაინდო და ისინიც მიტყეპა. მეთაურებმა ვერ შესძლეს მათ მიერ მოწყობილი გამოსვლის შესაფერ კალაპოტში ჩაყენება და იმ ჯადოქრული ძალების შეჩერება, რომელნიც სამოქმედოთ გამოიწვიეს.

დღეს „კავკაზსკი რაბოჩი“ გამომცემარი და სულ ჩვენ ბეჯით თავს აძლევს საკუთარი შეცდეს პასუხის-მგებლობა, მაგრამ ამაოთ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პროპაგანდისტთა ჯგუფმა მოწოდება გამოსცა, სადაც დაგმო ბოლშევიკთა გამოსვლა პეტროგრადში. მერე რა? ხუ თუ ბოლშევიკები ფიქრობენ, რომ მათ ავანტიურისტულ პოლიტიკას გვერდს აუხვევენ და მის წინააღმდეგ ზომებს არ მიიღებენ?

ბოლშევიკებმა ნიღაბი უკვე ჩამოიხადეს და ყველასათვის აშკარა შეიქმა, რომ ისინი პირდაპირ თუ არა პირდაპირ დაუკავშირდენ იმ ბნელ ძალებს, რომელნიც ალექსანდროვს ბაღში თუ სხვაგან აშკარათ გამოდიან, რევოლუციონერ ბანაკში არევ დარევა შეიქმნა და კონტრ-რევოლუციონერთა აამოძრავებაზე ნიადაგს უმზადებენ. პირველი ასეთი გამოსვლა ჩვენ კვირის მიტინგზე ვნახეთ.

ძნელია მხოლოდ პირველი ნაბიჯი. თუ ახლავე რევოლუციონურმა პარტიებმა და ორგანოებმა შესაფერი ზომები არ მიიღეს და ხულიგანთა თარეში თავშივე არ ჩაკლეს, ექვს გარეშე ბნელი ელემენტები, რომელნიც ბოლშევიკთა გარშემო იკრიბებიან, თანდათან ძალღონეს მოიკრებენ და რევოლუციის დასამარებას შეეცდებიან. ბოლშევიკები რევოლუციის გაძლიერებას ცდილობენ, ხოლო საქმით მის დასამარებას ეხმარებიან!

რევოლუციას საფრთხე მოელის. ყველა მუშა და ჯარისკაცი, ყველა მოქალაქე ვალდებულია უკანასკნელ ამბებს დიდი ანგარიში გაუწიოს და რევოლუციის მოპოვებანი მთელი თავისი ძალღონით დაიცვას.

პრესა.

„სახალხო ფურცელი“ სიხარულით ცას სწვდება, როცა „კავკაზსკი რაბოჩიდან“ „მენშევიკების“ ორგანიზაციების შესახებ ცნობას აქვეყნებს. მეუმრავლესეთა გაზეთის მოჰყავს ცნობები, თუ საიდან რამდენი დელეგატი იყო ყრილობაზე და დასკვნის: საბრეწველო ცენტრიდან—ბაქოდან ექვსი წარმომადგენელი იყო, ხოლო იმ ქალაქებსა და დაბებსაც, სადაც არავითარი მეწველობა არ არის—მრავალი წარმომადგენელი ჰყავთ". აქედან მეუმრავლესეთა გაზეთის დასკვნა ცხადია, რასაც მხარს უჭერს და ეთანხმება „სოციალისტ-ფედერალისტთა(?)“ პარტიის ორგანო „სახალხო ფურცელი“:

„ამიერ კავკასიის „მენშევიკების“ ორგანიზაცია არის უმთავრესად ქართველი გლეხების ორგანიზაცია“.

არ უსწორდება რომ ვსთქვათ,—ორგანიზაცია არა სოციალისტური, წვრილ ბურჟუაზიული. ვსთქვათ, რომ ეს ასეა. მაშინ კითხვა იბადება: რატომ ასე გულმოდგინეთ ცდილობენ მეუმრავლესენი და ფედერალისტები „სოციალისტური(?)“ პარტია ამ გლეხების, წვრილი ბურჟუების თავისკენ გადაბირებას? როცა ამ გლეხების უმრავლესობა „ბოლშევიკებს“ აირჩიოს, მაშინ ხომ საფრთხეში ჩავარდება მეუმრავლესეთა „ეშმაკიანი და რევოლუციონური“ სოციალიზმი!.. მაგრამ მეუ რავლესენი ასე არ სჯელობენ და დიდ ყურ დღებას აქცევენ გლეხებს, ამ „წვრილ ბურჟუებს“.

მეუმრავლესეთა ერთ ერთ პარტიულ კრებას თფილისში „მენშევიკი“ ანჯარო ჰ აბრიშვილი დასწრებია. ამ კრების ამბავს „ბრძოლა“ კვირის ნომერში ასე აგვიწერს:

„... ა. ჭაიხიძე ვილმა დიდხან ილაპარაკა, არ დაუტოვებია არაფერი ცნობების ძველსა და ახალს არქივში, ყველაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო და მოქალაქენო! ქალაქის საარჩევნო სიები გამოქვეყნდა.

ამოაღლაგა ზევით და გადაუშალა წინ კრებას. იგი ამტკიცებდა მენშევიკ „ობორონცების" ულტრა რევოლუციონერობას, ხოლო ხაზს უსვამდა ბოლშევიკების „კონტრ-რევოლუციონურ ნაბიჯებს" და სხ. რაზედაც პასუხი გასცა პირველად ამხ. ა. ერქომაიშვილმა. ის ვრცლად შეეხო მენშევიკების პოზიციას, შეადარა იგი ბოლშევიკებისას და ნათლად დაანახა კრებას მენშევიკ-ობორონცების გაკოტრებული, მოჩვენებითი ვითომ მარქსისტული ტაქტიკა. ბოლოს მან ასე დაათავა: „მე ვაპირებ ახლა გურიაში წასვლას. იქ შევეცდები მენშევიზმით მოწამლულ გურიის ხალხს დავუმტკიცო, რომ მენშევიკების ტაქტიკა გაკოტრდა და მათი პოზიცია ყალბია; ხოლო მის ნაცვლად ვეცდები გავაცნო და შევაგნებინო მათ ბოლშევიკების ნათელი და სწორი პოზიცია; გავაგებინებ იმასაც, თუ როგორ ყალბათ გააცნეს მათ მენშევიკებმა თავიანთი მოწინააღმდეგეების, ბოლშევიკების ტაქტიკა და ლოზუნგები. ამ სახით, სთქვა ორატორმა, მენშევიკების მიერ დაგმობილი ბოლშევიზმი მინდა გავურკვიო, გავუთვალისწინო მათ და მაშინ ვნახოთ, თუ ვის გაჰყვებიან ისინი: თქვენ თუ ჩვენ!"

ასე რომ, მეუმრავლესე ა. ერქომაიშვილი დიდის რიხით და იმედებით მიემგზავრება გურიაში და თუ მოხდა საოცარი, თუ გაუქვია გურიის ხალხს ბოლშევიზმი და გაიყოლია, მაშინ რა თქმა უნდა, მეუმრავლესეთა ორგანიზაცია გურიაში ნამდვილი სოციალისტური იქნება და არა გლეხური, როგორრათაც ბოლშევიკები მათ იხსენიებენ.

კოზმა პრუტკოვი ამბობდა: **отъ точки зрѣнія зависитъ: хвостъ виситъ на собакѣ или собака на хвостѣ.**

ასეა ბოლშევიკების „თვალსაზრისიც": როგორც მოესურვებათ და მოუხდებათ—მათი თვალსაზრისით—ხან ძაღლს ჰკიდია კუდი, ხან კუდზე ჰკიდია ძაღლი!..

კონტრ-რევოლუცია.

ბი—რა სიტყვა აკერია დღეს რუსეთში ყველას ენაზე. ამის შესახებ „რაბოჩაია გაზეტა" შემდეგს სწერს: ჰერში აშკარათ მოჩანს კონტრ-რევოლუციონური ნიშნები. ჩვენ არ ვიცით სად იმყოფება მისი შტაბი, რამდენათ ის შეკავშირებულია, მაგრამ ჩვენ ვხედავთ იმ მთავარ იარაღს, რომლითაც ამ ნიადაგზე სურთ ფართო მასის ჩათრევა. ეს გამოცდილი საშუალება—შავრაზმელების მიერ ბნელი ხალხის ებრაელებზე წასისიანება.

პეტროგრადში აშკარათ ეწევიან ებრაელების წინააღმდეგ აგიტაციას. ყური დაუგდეთ, თუ რას ლაპარაკობს სხვადასხვა ალაგას „კუდეებში" გაჩერებული ხალხი, მფრინავ მიტინგებზე და სხ. ყველგან ებრაელების წინააღმდეგ ლაპარაკობენ, იმათ ძალადობაზე, რომ ისინი არიან დამნაშავენი ხალხის წვალებაში და სხვ. ამას ლაპარაკობს აფიცერიც, მანდილოსანიც, მღვდლები და სალდათის თუ მატროსის ფარაჯაში გახვეული საეჭვო პიროვნება ებრაელებზე. წასისიანება უკავშირებენ დროებით მთავრობის მოქმედების კრიტიკას, უკმაყოფილონი არიან აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობით, ვინაიდან იქ „ჟიდები" სხედან. „მემარცხენეების" აგიტაციას სიძვირის და სხვათა წინააღმდეგ შავრაზმული ელფერი ეძლევა.

როცა ერთი ჯურის ხალხი ამტკიცებს: „სოციალისტები კაპიტალისტებმა მოიყიდესო", აქ საუკეთესო ნიადაგი აქვთ შავრაზმელებს, რომ „დაამტკიცონ"—ისინი „ებრაელებმა მოიყიდესო". თუ რომ ყოველდღე შეუგნებელ ჯარის კაცებს აგონებენ წერეთელი დამბეგ (სპეკულიანტ) ვაჭრებს იცავსო და ამავე დროს ვაჭრები ხალხს მოუწოდებენ აწიოკეთ ებრაელები საქონლის გადამალვისთვისო, რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მთავრობისა და საბჭოს წინააღმდეგ ბნელი ხალხის გაბოროტებას ებრაელების წინააღმდეგ გაბოროტებაც თან მოჰყვება.

ამის შემდეგ სრულიადაც არ არის გასაკვირველი, როცა აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს ასე უპასუხეს ზოგიერთ პოლკებში: „ასე „ჟიდები" ლაპარაკობენო". აღმასრულებელი კომიტეტის წევრები მათ ურჩევდა 10 ივნისს „ბოლშევიკების" მიერ მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობას ნუ მიიღებთო. გაზეთის გადმოცემით ასეა საქმე პეტროგრადში. რა იქნება—პროვინციაში, ჯარში, სადაც პურიშკევიჩები და ყოფილი პოლიციელები ჯარის კაცებს მუდამ ებრაელების მავნებლობაზე ჩასჩიჩინებენ.

სოფლებში ხუცები და სხვადასხვა საეჭვო პირები გაიძახიან: მეფე ჟიდებსა ჰყავთ დატყვევებული, „ჟიდები" მოითხოვენ ომის გაგრძელებას, იმათ გაიტანეს სოფლებიდან პური და სხ. ასე რომ, კონტრ-რევოლუცია ირაზმება და როცა სიტყვიდან საქმეზე გადასვლას დაიწყებენ—პირველი მსხვერპლი ებრაელები გახდებიან, შემდეგ კი—ყველა მოქალაქენი. ამიტომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია ეცადოს რევოლუციის მოწინააღმდეგე ძალას არ მისცეს შეკავშირების საშვალება.

ამავე საკითხს ეხება „ნოვაია ჟიზნში" ვ. სევერსკი. როგორც ის მოგვითხრობს, მთავარი ყურადღება კონტრ-რევოლუციონერებს მიუქცევიათ „სტაროობრიადცების" (ძველი რჯულის მადიარებელნი) შორის მუშაობაზე. მათი მიზანია ეს 27 მილიონი ხალხი შეაკავშირონ რევოლუციის წინააღმდეგ. უნდა ითქვას, რომ „სტაროობრიადცები" ყველაზე უფრო კონსერვატორი ხალხია. თუ ისინი ოდნავ ოპოზიციონერობას გამოიჩენდენ ზოგჯერ ძველი მთავრობის დროს, ეს აიხსნებოდა მათი სარწმუნოებრივ ნიადაგზე დევნით. მათ საუკეთესო, ნოყიერი სათესი მინდორი აღმოუჩენიათ „სტაროობრიადცების" სახით. თუ მათ ამ მუშაობაში ხელი არ შეუშალეთ—კარგ მოსავალს მოიმკიან. აქაც დიდი გასავალი ჰქონია „ჟიდების" წინააღმდეგ აგიტაციას, აქედან ხელი უკვე გაწვდილი ყოფილა კაზაკებისადმი, რომ საერთო ძალით იხსნან რუსეთი დაღუპვისაგან.

ერთ მოხსენებაში, რომელიც გავლენიან „სტაროობრიადცებისათვის" დაურიგებიათ, შემდეგი სწერია თურმე: „ახლო მომავალში რუსეთში ისეთი ხანა დადგება, როცა აუცილებელი იქნება ძლიერი მონარქიული მთავრობის შედგენა. ახლა მომავალში მთავრობაში უკიდურესი მემარცხენენი გაბატონდებიან, რომლებიც ახლანდელ დროებით მთავრობაზე უფრო სუსტნი აღმოჩნდებიან, ვინაიდან ისინი სახელმწიფოს ახლანდელ გაჭირვებული მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანენ, მაშინ სასურსათო-სამეურნეო არევ-დარევა უმაღლეს წერტილს მიაღწევს, ანარქიაც მეტისმეტად განვითარდება" და სხ. და სხ.

აი მათი იმედი!

რა გვიშველის?

მთელი რევოლუციონური ძალების მობილიზაცია მოპოვებულ თავისუფლებათა დასაცავად!

რევოლუციონურ ძალთა გაერთიანება და არა გათიშვა!

არჩევნების წინ.

(გაგრძელება. იხ. „ერთობა" № 82).

ქალაქის განათება.

ძველ საბჭოს ყავდა ერთი მდიდარი ბანკირი. მეტის-მეტად ოხუნჯი ადამიანი.

ალექსანდრე ფრიდონოვი.

სოლოლაკში რომ დიდი კერძო ბანკია, რომელსაც ევროპის ყველა დიდ ქალაქებში იცნობენ, იმის ერთად-ერთი ბატონი და პატრონი იყო.

ფრიდონოვი გამოუცვლელი ხმოსანი იყო ოცდა ხუთმეტი წლის განმავლობაში.

რადგანაც მისი ბანკი ამ ხნის განმავლობაში წელში მაგრად იყო,—რაშვილია სოლოლაკელები ა. ფრიდონოვს გამოაჩენდნენ!

ფრიდონოვმა დრო გამოშვებით მოსწრებული სიტყვების ხმარება იცოდა.

ამ ვიგინატონს ქალაქის გაუმჯობესებაზედ ფიქრები და ზრუნვა სრულიადაც არ ეპიტნავებოდა.

სხდომაზე შემოსვლა მოგვიანებით იცოდა. რომ შემოვიდოდა, ხმოსნები წაიჩურჩულებდნენ:

— კანფეტები მოიტანაო!

და მართლაც, ფრიდონოვს ჯიბეები სავსე ქონდა კანფეტებით.

სწუწნიდა კანფეტებს კრების დროს თითონ!

სწუწნიდა გამგეობა!

სწუწნიდა მისი ამხანაგები!

იმ ხანებში ქალაქის განათების მეთვალყურეთ იყო ვილაც სიდრაკ შუბაშიანცი.

კაცი ძალზე ტანმორჩილი, ცალი თვალით ბრმა და წელში მოხრილი. გეგონებოდა მუდამ მიწის გულში იცქირებაო.

ეს ადამიანი ედგა სათავეში ქალაქის განათების საქმეს. როდესაც რომელიმე ხალხის ნამდვილი მეგობარი ხმოსანი საბჭოს სხდომაზე შეეკითხებოდა გამგეობას ქალაქის განაპირა უბნებში მუდმივი სიბნელის გამო, როდესაც ხმოსნის აღშფოთებულ გრძნობას ვიზიარებდით ჩვენც, „გალიორკის" მუდმივი სტუმრები,—ადგებოდა ფრიდონოვი.

იმის დანახვაზედ საბჭოს უმრავლესობა და გამგეობაც სიცილისათვის ემზადებოდნენ.

ა. ფრიდონოვი კომედიის წუწუნას შეაჩერებდა, დინჯათ გადახედავდა ხმოსნებს და ამბობდა:

— როდესაც შუბაშიანი განაპირა უბნებში დადის ბრმა თვალიც იცქირება, საღი დახურული აქვს. შუა ქალაქში და სოლოლაკში სიარულის დროს ის მუდამ საღი თვალით იცქირება და აქაც განათების საქმე უკეთ არის დაყენებულიო.

ხარხარებდენ ხმოსნები!

იცინოდა გამგეობა და მათი დამქაშები.

მარა ბრძნულია ხალხის თქმულება:

„ნამდვილათ იცინის ის, ვინც უკანასკნელათ გაიცინებს".

დღეს დადგა დრო ხალხის სიცილისა, მარა ამ სიცილში იხატება გრძნობა არა გამდიდრებული ფაზრო სიამოვნებისა და დაცინვისა, არამედ შეგნება უმაღლესი მოქალაქეობრივი შეგნებისა.

როგორ ანათებდა ძველი საბჭო ქალაქის უბნებსა და ქუჩებს?

დიდრონი ანგარიშების კითხვით ამ კითხვის შესასწავლათ თავს ნუ შეიწუხებთ.

ამაღლდით მამა დავითის მთაზედ.

შებინდებულში, როდესაც შრომა საგან დაქანცულმა ნერვებმა და ძალისაგან დაცლილმა გულმკერდმა ბუნების გაშლილ ჰავაზედ დასვენება მოგთხოვოთ, გადაავლეთ თვალი აქედან ჩვენს დედა-ქალაქს.

თქვენს თვალ წინ გადაიშლება საინტერესო „პანორამა".

დამაფიქრებელი, დამაღონებელი სურათი!

დღემდის ეს სურათი ბევრის გულში იწვევდა სასოწარკვეთილების გრძნობას, მარა დღეს, განკითხვის დღეს, ხალხი სხვა სურათს დასწერს ქალაქის განათებისას, სურათს არა სასოწარკვეთილების მომგვრელს, არამედ გულში იმედის ჩამნერგავს.

მამა დავითის მთიდან რომ გადმოიხედავთ ურიცხვ მოკაშკაშე ელექტრონის ლამპებით ანთებულ თაიგულს, სოლოლაკს და საერთოთ ქალაქის მდიდარ უბნებს გარს არტყია აქა იქ სულთ-მობრძავი სინათლის შუქები.

შეეცადენით შედარება და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს ქალაქის განათების სტატისტიკა არის.

საუცხოვო სტატისტიკა!

თვით ხმოსნების უმრავლესობისგან შედგენილი და აღნუსხული!

განათებული ადგილები—ეს ბურჟუაზიის აკვანია, ეს მდიდრების სამეფოა.

ცუდათ განათებული და ბნელი ადგილები—ეს გაღატაკებული მოქალაქეების უბნებია, ეს პროლეტარების საცხოვრებელი ციხეა, რომელსაც დღეს მშრომელი ხალხი ახალი ხმოსნების შეწევნით დაანგრევს და გზას გაიკაფავს ადამიანური ცხოვრების მოსაპოებლათ.

წინეთ ქალაქს ანათებდენ უბრალო ნავთის პატარა ლამპებით.

ცხადია—ლამპები მდიდარი უბნებისათვის არ ყოფნიდათ. ცხადია, საწყალ ხალხზე მაშინ არავინ ფიქრობდა.

შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა ელექტრონით განათებაზე გადასვლა. მოაწყო ელექტრონის სადგური, რომელიც რამოდენიმე ათი-ათასი მანეთი დაჯდა.

საქმე თავიდან უწინოთ, უაზროთ დარჩა მოწყობილი. ვილაცებმა ქალაქს შეაჩეჩეს ხელში უვარგისი მაშინები. ელექტრონის მისაღებათ საჭირო არის ორი მაშინის პარალელურათ მუშაობა. ჯერ იყო და ვერაფერი საშუალებით ვერ აამუშავეს მაშინები.

მოიწვიეს ქალაქის საუკეთესო კერძო ინჟინრები, ვერაფერს გახდნენ. მოიწვიეს სხვადასხვა სპეციალისტები, მაინც ვერაფერი გააკეთეს!

ადგილობრივი რუსული გაზეთების რეპორტიორები იცინოდნენ:

— სულ „ერუნდა" გამოდისო.

იდგა ვეებერთელა მაშინები უაზროთ და უსაქმოთ.

ქალაქის ინჟინრები და ეს ორი მაშინები მოგვაგონებდნენ კრილოვის იგავს:

„მაიმუნს და სარკეს".

მარა ინჟინრები, საბჭოს საბედნიეროთ, მაიმუნებზე ჭკვიანები გამოდგნენ.

არ დაამტყუნეს მაშინები, როგორც ეს მაიმუნმა ჰყო მისთვის გაუგებარ სათვალეს და მისცენ გამგეობას ახალი რჩევა:

— „ვარიაგინს" მივმართოთო!

— ვინ არის ეს „ვარიაგი"?

— კიევის ცნობილი პროფესორი არტემიევი.

ჩამოვიდა მაშინების შესახებ პროფესორი არტემიევი.

მე მაშინ ის ვნახე და ამ საგანზე ვისაუბრეთ, მან ბევრი კომპლიმენტები უძღვნა გამგეობას, მისი წინამძღოლის მჭერმეტყველობას, მარა ბოლოს მაინც გესლიანათ ჩაილაპარაკა მაშინების შესახებ:

— „ალბათ მოუფიქრებლათ, უცბათ გამოიწერესო".

ჩვენ ვიცნობთ ამ ტერმინებს:

— „უცბათ", „მოუფიქრებლათ".

საქმეც იმაშია, რომ თურმე ზოგიერთ დაწესებულებებში ყველაფერი „უცბათ" ხდება!

ამის გამო რამოდენიმე ათასი ზედმეტი დაიხარჯა. ეს მაშინები უვარგისი გამოდგენ და დღესაც არ მუშაობენ. ელექტრონით განათებამაც ვერ უშველა ღარიბ ხალხს, რადგან ის შემოღებული იყო საბჭოს უმრავლესობის და მათი ამომრჩევლების ცხოვრების მოსაწყობათ და არა ღატაკების ბინების და უბნების გასანათებლათ.

სინათლის შუქს მშრომელი ხალხი სხვაგან ეძებდა და ნახა კიდეც.

და ახლა ამ სინათლეს მას ვერავინ ვერ წაართმევს.

ელექტრონით განათების შემოღების პირველ ხანებში ზოგიერთებს აძლევდნენ უფლებას მიეღოთ სადგურიდან ძალა ერთი ან ორი ლამპისათვის.

ამით სარგებლობდა საშუალო მდგომარეობის მცხოვრებნი, მარა საბჭომ მერე ესეც აკრძალა.

— „სინათლე ჩვენც არ გვეყოფნისო".

ამის შემდეგ ყველა ასეთი ოჯახები უსინათლოთ დასტოვეს. ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ხმოსნების უმრავლესობამ ვერ შეიძლო გამოეჩინა სამართლიანობა ამ საქმეში.

მდიდარი კლასი ცხოვრობდა საუცხოვოთ განათებულ ქუჩებში და სახლებში, სადაც უჩვევ ადამიანს ზედმეტი სინათლე თვალს სჭრიდა და სჭრის.

ღატაკები და განაპირა ადგილები სიბნელეში იხრჩობოდნენ და იხრჩობიან.

ეს „ღვაწლი" მიუძღვის განსაკუთრებულ საბჭოს მშრომელი ხალხის წინაშე!

— მახლას! დევნილი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 26—27 ივნისი).

საბჭოების ყრილობა.

პეტროგრადი. 19 ივნისს კრება დიდ ხანს გაგრძელდა. კამათის დროს სანამ ყრილობა გადასწყვეტდა მოწოდება გამოეშვა ჯარების მიმართ, მარტოვმა სთქვა, რომ შეტევა სტრატეგიული კი არა პოლიტიკური ნაბიჯი არის. მოკავშირეებმა უარი არა სთქვეს მტაცებლობითი მიზნებზე, რუსეთის სისხლი იღვრება იმპერიალიზმის ინტერესებისთვის. მარტოვი არ კისრულობს პასუხი აგოს ასეთ პოლიტიკურ ნაბიჯის გადადგმისთვის და უარს ამბობს ხმა არ დაუჭიროს მოწოდებას. სიტყვას ასე ათავებს: ძირს ომი, გაუმარჯოს ინტერნაციონალს. მარტოვს ეკამათება ჩერნოვი. „რუსეთში—ამბობს ის—დროებით სეპარატიულ ზავის გამო აუტანელი პირობები შეიქნა, სანამ ჰინდენბურგი არ გადასწყვეტს შემოგვიტიოს... მარტოვი იქ ხედავს იმპერიალიზმს, სადაც არ არის და იქ ვერ ხედავს სადაც არის. მარტოვს ავიწყდება გერმანიის იმპერიალიზმი. ჰინდენბურგის ფრონტის გარღვევა, ინტერნაციონალის გარღვევა არ არის". შემდეგ ორატორი სიტყვას ამბობს. ბოლშევიკების მხრით შეტევას დიდი წინააღმდეგია [illegible]. [illegible] გლებების სახელით მხარს უჭერს ყრილობის რეზოლუციას და დიდ დახმარებას ჰპირდება ჯარს. ლუნაჩარსკი უარს ამბობს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯის პასუხისმგებლობაზე, და შიშობს, რომ მთავრობა [illegible] შემოღებული. წერეთელი აჰყვება ლუნაჩარსკის შიშს. მას მიუგო მ ხვა სათითოთ.

22 ივნისს კრება საღამოს მოხდა. ამერიკის სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელი ვილლი-აბალი მისალმა ყრილობას ამერიკის და ნორვეგიის სოციალისტების სახელით. ჩხეიძემ პასუხი გასცა ვილლიამს და სთხოვა, რომ ამერიკის სახელმწიფოთა სოციალისტებმა და პროლეტარიატმა გადაჭრით მოსთხოვონ თავიანთ მთავრობებს შეკრან ისეთი ზავი, როგორიც წამოაყენა რუსეთის რევოლუციონერმა დემოკრატიამ. ლიბერის წინადადებით, მიიღეს რეზოლუცია უკრაინის საკითხის შესახებ, რომლითაც ყრილობა იმედს აძლევს უკრაინის რევოლუციონურ დემოკრატიას მხარს დაუჭიროს უკრაინის დემოკრატიულ ავტონომიის განხორციელებაში, უმცირესობის ნაციონალურ უფლების უზრუნველყოფით. ავტონომიის საბოლოოთ დამყარება დამფუძნებელ კრების მიერ [illegible] ლობა წინადადებას აძლევს მთავრობას [illegible] თანხმობით უკრაინის რევოლუციონურ დემოკრატიას, შექმნას ისეთი ორგანო უკრაინაში, რომელიც შეიმუშავებს უკრაინის მომავალ ავტონომიის წესებს. მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც აუცილებელ საჭიროებით იქნა აღიარებული ანტისემიტურ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა და სასტიკათ იქნა გმობილი ანტიებრაული აგიტაცია, რომელიც საფრთხეს უქმნიდა რევოლუციურ მოძრაობას. ყრილობა მოითხოვს რევოლუციურ დემოკრატიისაგან სასტიკათ იბრძოლონ ებრაელთა წინააღმდეგ მოქმედების და დასაწყისშივე ჩაჰკლან ყოველივე მოძრაობა ამ მხრივ. შემდეგ კრება შეუდგა ფინანსიურ საკითხის განხილვას. ილაპარაკა შრომის მინისტრმა სკობელევმა ქვეყნის ფინანსიურ ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. თავისუფლების სესხის შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ სესხი ხელი მოაწერა ნაწილობრივ ბურჟუაზიამ და მალე ცოტა დემოკრატიამ და ამჟამად ის დასკვნა გამოჰყავს, რომ დემოკრატიამ არ შეასრულა თავისი მოვალეობა.

შრომის მინისტრის ამხანაგი კოლოკოლნიკოვი მოხსენებას კითხულობს მუშათა საკითხის შრომის შესახებ. მისი წინადადებით მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც აღიარებულია, რომ [illegible] დაუყოვნებლივ გამოცემული [illegible] სრული თავისუფლების, 8 საათის სამუშაო დღის, შრომის ფასის მოწესრიგების, მომრიგებელ კამერების დაარსების, საფაბრიკო ინსპექციის გადაკეთების, უმუშევრობასთან ბრძოლის და მუშათა წარმომადგენლობის [illegible] შესახებ. მიიღეს რეზოლუცია სოციალურ დაზღვევის შესახებ.

უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ სასტიკი ბრძოლა გამოცხადდეს მეწარმეების, რომლებიც უნდათ ლოკაუტებით პასუხი გასცენ მუშათა კლასის პოლიტიკურ და ეკონომიურ იერიშს. ყრილობა საჭიროთ სთვლის სახელმწიფოს ჩარევას წარმოების მოწყობის საქმეში და ნაწარმოების განაწილებაში. დასასრულ ყრილობამ მოისმინა მოხსენება პეტროგრადში [illegible] შესახებ.

სურსათის საქმის მინისტრმა პეშეხონოვმა გააცნო კრებას მოსავალი როგორი პირი უჩანს. გამოირკვა, რომ მდ. ოლგის სანაპიროზე სოფელ-ქალაქები და ურალის ოლქი უფრო დარჩება, სხვა ადგილებიდან კარგი მოსავალი არ იქნება. მდგომარეობა სერიოზულია. ჩრდილოეთისკენ წყლით პურის გადატანა შეუძლებელი იქნება. ზოგიერთ გუბერნიებში მოუსავლობის შიშით პურს აღარ ჰყიდიან. ამ გარემოებამ შეუძლია სატახტო ქალაქი და ჯარი დაღუპოს. საჭიროა დეზორგანიზაციასთან ბრძოლა, საჭიროა დავამშვიდოთ ხალხი, სახელმწიფო ინტერესებისთვის პირადი ინტერესები დავივიწყოთ. ყრილობის წევრებმა ამას ხელი უნდა შეუწყონ. ყრილობამ აგრეთვე უნდა მიაქციოს ყურადღება [illegible], რომლებიც თავიანთ [illegible] მოითხოვენ [illegible] პურის გადატანას. მინისტრმა დასასრულ მოუწოდა დაეხმარონ მას ადგილობრივ. ყრილობამ დაიდგინა გაუწიოს დახმარება.

ჩერნოვის სიტყვის დასასრულს თანხმობა განცხადდა მიღებულ იქნეს ისეთი რეზოლუცია: 1) მოისპოს მიწების, მადნების, მდინარეების და ტყეების და სხვ. ყიდვა გაყიდვა. 2) მიწების მოხმარების უფლება უნდა ეკუთვნოდეს მთელ ხალხს, რომელიც განაგებს მას თავის თვითმართველობის დემოკრატიულ ორგანოების შემწეობით. 3) მიწით სარგებლობა უნდა შეეძლოთ მხოლოდ მიწის მშრომელ მცხოვრებთ. 4) სარგებლობის უფლება, როგორც კერძოთ ისე კოლლექტიურად, უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სპეციალური იურიდიულ ნორმებით სახელდობ მოქალაქეობრივ თანასწორობის საფუძველზე. 5) ადგილობრივ პირობებს და ვადას მიწით სარგებლობისას იმუშავებს ადგილობრივი თვითმართველობის უმაღლესთა კონტროლის ქვეშ. 6) მიწის ერთი ნაწილის ერთი მეორის გადაცემა სპეციალურ ორგანოების საქმეა. 7) გარდამავალ ზომების სახით და ამ ზომების მოქმედების ვადას საზღვრავს სპეციალური კანონმდებლობა. ბოლშევიკების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგინი მომხრე არიან რეზოლუციის ზოგიერთი დებულების, მაგრამ წინააღმდეგ არიან იმ დებულების, რომლებიც [illegible] ვერ სჭრიან საქმეს, როგორც მაგალითად მიწის ყიდვა გაყიდვის აკრძალვა. აგრარული საკითხი საფუძვლიანათ უნდა გადაწყდეს, ამიტომ უნდა მოისპოს მიწის კერძო საკუთრება. ბოლშევიკებმა შეიტანეს ცალკე რეზოლუცია, რომელიც უარჰყვეს. მიიღეს ჩერნოვის რეზოლუცია.

ფინლიანდიის წარმომადგენელნი პეტროგრადში.

ჰელსინგფორსი. დღეს პეტროგრადისკენ გაემგზავრნენ გენერალ გუბერნატორი სტახოვიჩი, სენატორი ტაკოი და ფინლიანდიის სხვა წარმომადგენლები, [illegible] რუსეთიდან საზოგადო, კერძოთ პური, რომელსაც ფინლიანდია ძლიერ საჭიროებს.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. ბანაკიდან მოსულ ცნობით სტანისლავოვის რაიონში მტერი [illegible] მტრის ფრონტი [illegible] გავარღვიეთ ახლა. ტყვეთ ჩაიგდო 4000 კაცი და ბევრი ნადავლი წამოიღო. ტყვეების რაოდენობა ჯერ დაწვრილებით არ არის [illegible]. ჩვენმა ქვეითა ჯარმა [illegible] გაიარა. გაქცეულ მტერს ცხენოსანი ჯარი დაედევნა.

პეტროგრადი. ოფიციალურად ბანაკიდან. დასავლეთის ფრონტი. [illegible] მიმართულებით [illegible] ორივე მხარე [illegible] ისვრის. [illegible] კის მიმართულებით 25 ივნისს შუადღისას [illegible] ჯარმა [illegible] მტერს შეუტია. [illegible] ფრონტზე ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტრის პოზიცია და ხელში ჩაიგდო [illegible] მტრის ცხენოსანმა ჯარმა [illegible]. ტყვეთ წამოიყვანეს 131 ოფიცერი და 7000 ჯარისკაცი, დავღეთ დარჩათ 48 დიდი ზარბაზანი, ამათგან 12 მძიმე და მრავალი ტყვიისმფრქვეველი.

კავკასიის ახალამბი. ჩვენ დავტოვეთ [illegible] ხანი და [illegible].

ახალი ამბები.

ამხანაგებო და მოქალაქენო! დღეს, 28 ივნისს, საღამოს 9 საათზე შეიკრიბება განცხადებათა მიღება საარჩევნო სიების შესწორების შესახებ. იცოდეთ სიების შესწორება. არ დაიგვიანოთ საარჩევნო სია.

✦ დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ გამართული თათბირი 25 ივნისს თავმჯდომარეობდა [illegible]. თათბირს დაესწრნენ რევოლუციონური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ერთნი მომხრენი იყვნენ, რომ კავკასია ერთ საარჩევნო ოლქათ დარჩენილიყო. მეორე [illegible] ამ წინადადებას უარი უთხრეს [illegible] სოც.-რევოლუციონერები, დაშნაკელები და კადეტები. მეორეს სოც.-დემოკრატები, [illegible], მუსულმანთა [illegible] ეროვნული საბჭო, მუსულმანთა [illegible] კომიტეტი, კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრი, კავკასიის ჯარის საბჭოს

იჩქარეთ შეიტანოთ საჭირო შესწორებანი ხუთი დღის განმავლობაში, ე ი. 28 ივნისის საღამოს 9 საათამდე.

ცენტრი და თფილისის მუშათა, ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭო და სოც.-ფედერალისტები. საგანგებო კომიტეტიც ერთი საარჩევნო ოლქის წინააღმდეგ წავიდა, ამიერ კავკასიის ოლქებათ დასაყოფათ საჭიროთ სცნეს საგანგებო კომისიის შედგენა.

◆ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ერთხმათ გადასწყვიტა გაიგზავნოს ფრონტზე ყველა ბერები და ის პირნი, რომლებიც ჯარის ზურგში სამხედრო სამსახურს ემალებიან.

◆ უწყლობა ნაძალადევში. ნაძალადევის მცხოვრებნი დიდს გაჭირვებას განიცდიან უწყლობის გამო. მცხოვრებლებმა ამის შესახებ ქალაქის გამგეობას მიმართეს. მოითხოვენ, რომ გამგეობამ მათ გაჭირვებულ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს.

◆ სურსათი. 24—26 ივნისამდე ქალაქში შემოვიდა 24 ვაგონი პურის ფქვილი და 4 ვაგონი ხორბალი. სასურსათო კომისიის დადგენილების თანახმათ პურს ნიხრი მოემატა, ვინაიდან რკინის გზით გადატან-გადმოტანა გაძვირდა. ასე, ფურნის პური ნახევრათ თეთრი ელირება გირვანქა 12 კაპ., შავი—10 ნახ. კაპ. თორნის—12 ნახ. კაპ. და 11 კაპ.

◆ თფილისის გარნიზონის უფროსად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ერთხმად აირჩია პოლკოვნიკი ამხ. სტეფანე გიორგის ძე ახმეტელაშვილი. დღემდე ის ბრიგადის უფროსად ითვლებოდა თფილისში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს არჩევით. ამხ. ახმეტელაშვილი ამავე დროს ბრიგადის უფროსის თანამდებობაზედაც დარჩება.

◆ მოწყალების დების კრებამ 22 ივნისს, რომელსაც 200 მდე მოწყალების და დაესწრო გადასწყვიტა შექმნან კავკასიის მოწყალების დების კავშირი. ამ მიზნით აირჩიეს 6 პირისაგან შემდგარი საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც უნდა ახლო მომავალში მოიწვიოს ყრილობა.

◆ ახალი სადგურის განყოფილებები იხსნება ამიერ კავკ. რკინის გზის სად. ტაფზზე, დ. ნაგომარში (გურია) და სოფ. ვანში (ქუთაის. მაზრა)

◆ † ა. მ. ხურგულაძე. 21 ივნისს მატარებლების დაჯახების დროს მძიმე დაზიანდა და დიდი წვალების შემდეგ გარდაიცვალა „ვოლნოოპრედელიაიუშჩი“ ალექსანდრე მაქსიმეს ძე ხურგულაძე, რასაც მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებულის ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს მისი ამხანაგები: ნიკოლოზ კარტას ძე კიტუანი, ბარნაბ დავითის ძე სტურუა და ელისე ეტლის ძე კომახიძე.

◆ დახმარება. თფილისის სათავე არსენალის მუშებისაგან შემოვიდა მუშათა დეპუტატების საბჭოსთან არსებულ მუშათა კომისიის სასარგებლოთ 350 მ., იმავე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სასარგებლოთ—350 მ., გაზეთების—„ზნამია ტრუდა“, „ბორბა“, „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებების“ და „ერთობის“ სასარგებლოთ ორას ორასი მანეთი, „ფაიქარის“ სასარგებლოთ 100 მ. და არსენალის რაიონის კომიტეტის სასარგებლოთ 100 მ.

◆ გადამალული სურსათი. ბორჩალოს მაზრის ს. იკეტურ ნოვკაში სასურსათო კომიტეტის მომწყობს ალმოუჩენია ყოფილ სასურსათო მომიტეტის წევრის ყარა იბრაგიმ ხალილ-ოღლისთვის ბინაზე 33 ტომარი თეთრი პურის ფქვილი, 18 ტომარი სიმინდი, 6 ტომარი ბრინჯი, 6 ტომარი ნიტხი შაქარი. ყოველივე ეს ჩამოერთმევიათ და ხალხისთვის გაუნაწილებიათ. ადგილობრივ სარაიონო კომიტეტს დაუდგენია გაძევოს ბორჩალოს მაზრიდ 6 ყარა იბრაგიმ ხალილ-ოღლი, როგორც მავნე ელემენტი, რის შესახებ შუამდგომლობა აღუძრავთ თფილისში.

კრებები და მიტინგები.

დღეს საღამოს 7 საათზე მეოთხე სამილიციო უბნის რ. ს. დ. მ. პ. საარჩევნო კომიტეტის მეთაურობით გაიმართება სახელობის სომხეთის სასწავლებელში გაიმართება ლექცია რუსულად, ქართულად და სომხურათ შემდეგ თემაზე: „მუნიციპალური პლატფორმა“.

— დღეს საღამოს 9 საათ. პირველ საქალებო გიმნაზიის შენობაში (ლორის მელიქოვის ქუჩ.) დღ. ს წესრიგი: ახალი გამგეობის არჩევნები და კვირაობით ექსკურსიების დაწყების საკითხი.

— დღეს საღამოს 7 საათ. ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირთა სადგომში (პეტრე დიდის ქუჩა № 18) შესდგება ოქრომჭედელთა და მესაათეების კრება.

— დღეს საღ. 7 ნახ. საათ. სასახლეში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებთან არსებულ პროპაგანდისტ კოლეგიის კრება. სთხოვენ ამხანაგებს უეჭველათ დაესწრონ.

კლუბის მოსამსახურეთა გაფიცვა.

როგორც მისს ნაზული გვქონდა მოსამსახურეთა გაფიცვა გაძლიერდა. როგორც ვიცით კლუბის მოსამსახურეებმა 4 თვის წინეთ წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნები კლუბების მამასახლისთა საბჭოებს. და ყოველივე საშუალებას მიმართეს მოლაპარაკების მშვიდობიანი ხასიათი მისცემოდა, მაგრამ მამასახლისთა საბჭოებმა ამას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. მოსამსახურეებმა საქმის მოსაგვარებლათ მუშათა დეპუტატების საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტს მიმართეს, მაგრამ კლუბების ადმინისტრაციებზე არაფერმა არ იმოქმედა! მოთხოვნათა კანონიერებას თუ უკანონობას რომ არ შევეხოთ, ერთი აშკარა და აღსანიშნავია: კლუბების ადმინისტრაციებმა მშვიდობიანი გზით საქმის მოგვარებაზე უარი განაცხადეს. ამასთან აღსანიშნავია გაზეთ „ვეჩერნიე ქიდნის“ მე 63—64 ნომრებში სიმართლეს მოკლებული და აშკარა პროვოკაციული შენიშვნები. ჩვენ მოუწოდებთ მოქალაქეებს ნუ დაიჯერებენ ასეთ ცნობებს და დაემყარონ მხოლოდ პროფესიონალური კავშირის ცნობებზე. მოვუწოდებთ მოქალაქეებს, მუშებს, ჯარისკაცებს, ერთი სიტყვით, ყველა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია მუშათა ინტერესები, მხარი დაუჭირონ გაფიცვას—ნუ დაიხმარებიან კლუბების ადმინისტრაციას, ნუ გააკეთებთ გაფიცულ მოსამსახურეთა გასაკეთებელ საქმეს. პროფესიონალური კავშირი ყოველგვარ ზომებს მიიღებს „შტრეიკბრეხერების“ წინააღმდეგ—გამოაცხადებს გაზეთებში მათ გვარებს და სხ. ამასთანავე, საზოგადოების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ მოსამსახურეთა საერთო კრებამ გადასწყვიტა დღეიდან გაფიცვა გამოაცხადოს ყველა კლუბებში, რესტორანებში, სასტუმროებში, სასადილოებში და საჩაი-ყავახანებში თუ ვინიცობაა კლუბების მოსამსახურეთა მოთხოვნები არ იქნებიან დაკმაყოფილებული. კავშირის გამგეობას იმედი აქვს, რომ შეგნებული ამხანაგები ამ საქმეში მას მხარს დაუჭერენ, რათა დაწყებული საქმე მოსამსახურეთათვის სასურველად დასრულდეს.

გამგეობა და გაფიცვის ბიურო.

ამიერ კავკასიის გლეხთა დელეგატების სიეზდი.

(მეოქვსე დღე, 26 ივნისი).

თავმჯდომარეობს ამხ. ნოე რამიშვილი. წარსულ სხდომაზე სასამართლოს შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში შეიტანეს შესწორება, რომლის თანახმათ მომრიგებელი სასამართლოები უნდა იყოს კოლეგიური.

დ. მერხალიოვი განმარტავს მომავალ სასოფლო-სამეურნეო აღწერის მნიშვნელობას, მოუწოდებს გლეხებს სწორი ცნობები მიაწოდონ აღმწერლებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღწერაში. ამ საკითხის შესახებ სიეზდმა ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ამიერ კავკასიის გლეხთა დელეგატების სიეზდი მოუწოდებს ყველა ამხანაგ გლეხებს მოეპყრან სრული ნდობით სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო და საადგილ-მამულო აღწერას, რომელიც მოხდება მთავრობის განკარგულებით ამ ზაფხულში და აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება სტატისტიკოს აღმწერლებს, ამ აღწერის დროს შეგროვილი იქნება მასალები დამფუძნებელ კრებაზე აგრარულ საკითხის გადა საჭრელათ და ჯარისა და მცხოვრებთათვის პურის, ხორცის და სხვა სასურსათო საგნების მიწოდების სწორი გეგმის შესადგენათ“. ნაციონალური საკითხის შესახებ პროექტის შემუშავება ერთხმათ მიენდო კავკასიის ცენტრს; ეს პროექტი შემდეგ დაურიგდება გასარჩევათ ადგილობრივ გლეხთა დეპუტატების საბჭოებს.

მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლიუციები დამფუძნებელ კრების შესახებ, მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტის გაუქმებისა და პურისა და სიმინდის გადატან-გადმოტანის ფასის შემცირების შესახებ. ღვინის საკითხის შესახებ მიღებულ იქნა მოდებაძის რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ღვინის გაყიდვის ნებართვას ადგილობრივ ორგანოების კონტროლის ქვეშ.

„ორ მილიონ ნახევარ გლეხთა ინტერესების დასაცავათ, რომლებიც დღეს ღვინის გაუყიდველობის გამო უკიდურეს კრიზისს განიცდიან, სიეზდი საჭიროთ სცნობს 1. ნება დართულ იქნას შეუღუდავით ღვინით ვაჭრობა და აგრეთვე 2. მოეწყოს სახელმწიფოს მიერ ღვინის შესყიდვა ჯარისა და საავათმყოფოებისთვის. ყველა კითხვები, რომლებიც შეკავშირებულია ღვინის გაყიდვის, ჯარისა და საავათმყოფოებისთვის მისი შესყიდვის მოწესრიგებასთან და სხ. უნდა გაირჩეს ამიერ კავკასიის მეღვინეთა და მეღვინეთა საბჭოს მიერ გლეხთა, მუშათა და ჯარის ცენტრისა და ადგილობრივ სასურსათო კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით“.

დამფუძნებელ კრების შესახებ რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა ერთხმათ სამის წინააღმდეგ, ასეთია: „ამიერ კავკასიის გლეხთა დელეგატების სიეზდი ესალმება დროებით მთავრობის განკარგულებას დამფუძნებელ კრების მოწვევის დღის 30 ენკენისთვისათვის დანიშვნის შესახებ. სიეზდი ფიქრობს, რომ დამფუძნებელი კრების მიზანი უნდა იყოს შემდეგი: 1. დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება; 2. ომთან დაკავშირებულ ყველა კითხვების ლიკვიდაცია; 3. მიწის საკითხის გადაჭრა; 4. მუშათა საკითხის გადაჭრა; 5 ნაციონალური საკითხის გადაჭრა; 6 ადგილობრივ მართვა გამგეობის მოწყობა; 7. დაწესება საყოველთაო სავალდებულო სწავლა-განათლებისა, შკოლების ნაციონალიზაცია და სხვა. ამასთანავე სიეზდი დარწმუნებულია, რომ ყველა ზემოთ დასახელებული კითხვები გადაიჭრება რევოლიუციონურ დემოკრატიის ინტერესების მიხედვით“.

წყლის საკითხის შესახებ დაადგინეს, გაუქმებულ იქნას მირაბების თანამდებობა და წყლის თანასწორათ განაწილება მიენდოს ხალხის მიერ არჩეულ კომიტეტებს. ფაზაგებისა და ყაჩაღების (განსაკუთრებით ერევნის გუბ. და ყარსის ოლქში) წინააღმდეგ საბრძოლველათ საჭიროთ ცნეს დაუყონებლივ გადაყენებულ იქნას ძველი პოლიცია, ამოირჩიონ ახალი აღმასრულებელი კომიტეტები, არ მიიღონ მილიციაში ნდობას მოკლებული პირები და სხვა.

სახალხო განათლების საკითხის შესახებ ერთხმათ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„ამიერ კავკასიაში შკოლის საქმე რომ მიზან შეწონილი იქნეს, გლეხთა სიეზდი აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია ყველა ტიპის შკოლების ნაციონალიზაცია, რისთვისაც საფუძვლათ უნდა დაედვას შემდეგი დებულებები: 1. შკოლა უნდა იყოს საერო, რისთვისაც საჭიროა შკოლის ეკლესიისაგან სავსებით ჩამოშორება; 2. შკოლა უნდა იყოს ეროვნული, რისთვისაც საჭიროა ყველა საგნების სამშობლო ენაზე სწავლება, ამასთანავე რუსული ენის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს; 3. ეროვნულ ცენტრის შექმნამდე შკოლების გამგებლობა უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობათა დემოკრატიულ ორგანოების ხელში; 4. შკოლებისათვის დროებით თვალყურის დევნება გადაეცეს კოლეგიურ ორგანოს ხელში, რომელიც შესდგება კომისარებისაგან (თითო თითოეულ ეროვნებისაგან); 5. ეს კომისია თავის მოქმედებაში ეყრდნობა ამიერ კავკასიის რევოლიუციონურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საბჭოს; 6. ყველა ტიპის შკოლების პედაგოგიური პერსონალი თავისუფლდება სამხედრო ბეგარისაგან; 7. იმის გამო, რომ დამფუძნებელი კრება შკოლის საკითხს ვერ გადასჭრის ზამთრამდე და შკოლა კი უნდა გარდაიქმნას სამოსწავლო წლის დასაწყისშივე, სიეზდს საჭიროთ მიაჩნია შემოდგომიდანვე მოხდეს შკოლების ნაციონალიზაცია“.

ამის შემდეგ მოხდა არჩევნები დეპუტატებისა, რომლებიც შეუერთდებიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების კავკასიის საერთო ცენტრის შესაქმნელად.

წევრებათ არჩეულია: 1) ნოე რამიშვილი, 2) არ. ერზიკიანი, 3) პ. გელეიშვილი, 4) ბიქ. თევზაია, 5) დ. დვალი, 6) ბერიოზოვი, 7) დ. მერხალიოვი, 8) ვერიგინი, 9) ვ. ცაბაძე, 10) რ. ჩიხლაძე, 11) ბერშტეინი, 12) ტერ-ისრაელიანი, 13) ჯ. ზეინალოვი, 14) დ. ახუნდოვი, 15) ი. ზავრიევი, 16) პ. გაზარიანი, 17) პარასკეევი, 18) მ. ქარცივაძე, 19) კვარაცხელია, 20) ს. გედევანოვი, 21) დ. გაჯინსკი, 22) ა. პეპინოვი, 23) ა. ბაროსერიანი, 24) ა. ჯამალიანი. 25) ს. იროზიანი, 26) გაზარიანი, 27) ბაბოიანი, 28) ბაშატოვი, 29) მარგარეტოვი, 30) გაჯიევი, 31) გულიევი, 32) გასანალიევ, 33) ა. ელიბაქიანი, 34) იუზბაშოვი, 35) მ. ალიევი, 36) ბაირატოვი, 37) ა. ჩხენკელი, 38) ი. წულუკიძე, 39) ასად-ბეგ, 40) სულთანოვი, 41) ფარნიევი, 42) ძ. სოლომონოვი.

კანდიდატებათ: 1) მაურ, 2) სუხორუკოვი, 3) კონცევიჩი, 4) სმეტანა, 5) ლაპუროვი, 6) ბენია ჩხიკვიშვილი, 7) ნიკო ელიავა, 8) რ. კუტუკოვი, 9) ლადო ახმეტელაშვილი, 10) დ. გონაშვილი, 11) საგათელიანი, 12) კალამიანი, 13) ჩოლოხიანი, 14) ზახარიანი, 15) აგორიანი, 16) მატარიანი, 17) ტ. გრიგორიანი, 18) ს. ჯულელი, 19) ივანე პაჭკ ნაძე, 20) ა. პაბეროვი, 21) ჯაფაროვი, 22) მაგედოვი, 23) გუსეინ კული, 24) ი. ნასიბოვი, 25) კ. ზარანოვი, 26) სართელია, 27) ლასა მგელაძე, 28) ზ. მიქაშვილი, 29) შ. ალესკერი, 30) შ. აზიზ, 31) აბასკულ-ხან-ახმედოვი, 32) პ.—ოღლი-გამიდ, 33) ა. მ. ეფენდი, 34) ისლამ-ბეკ-კაზმელოვი, 35) ს. წიკლაური, 36) ქალბაქიანი, 37) არავიაშვილი, 38) ზ. ჩიჩუა, 39) ა. ლაზარიაშვილი, 40) პ. აზატიანი, 41) კ. სეხნიაშვილი, 42) ნიკო (გვარი ვერ გავარჩიეთ), 43) პოლენიკი, 44) კ. ელბაკიანი, 45) კ. ჭეჭაძე, 46) გ. ფილავა, 47) კობიძე, 48) მ. აბაშიძე, 49) ვ. გურჯუა.

სხდომის დახურვამდე სიეზდს სიტყვით მიმართეს ამხ. აკაკი ჩხენკელმა და აგაჯანიანმა.

აკაკი ჩხენკელი. მე მიველ სიტყვა, რომ მოგილოცოთ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის სახელით თქვენი მუშაობის ბრწყინვალეთ დაბოლავება, თქვენი გამარჯვება, რომ ასე სახელოვნათ ჩაატარეთ გლეხთა პირველი ინტერნაციონალური სიეზდი... თქვენს რეზოლიუციებს მიიღებს მხედველობაში როგორც დროებითი მთავრობა, ისე ადგილობრივი განსაკუთრებული კომიტეტი. მე, შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილობრივი რწმუნებული ვამოწმებ, რომ კავკასიაში არ არის ერი, რუსეთის ხალხთან ერთად საერთო მიზნებს რომ არ ისახავდეს. და ამ მიზნების განსახორციელებლათ ჩვენ ერთი საშუალება გვაქვს—ხალხის თვითშეკავშირება. თქვენ უკვე აირჩიეთ დღეს დეპუტატები, რომლებიც შეუერთდებიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებს და შექმნიან კავკასიის მთლიან ცენტრს. დროებითი მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლები ამ ცენტრს დაეყრდნობიან და შესძლებენ ყველა თქვენი სურვილები გატარონ ცხოვრებაში, და მეორე მხრით ეგივე ცენტრი გაუწევს კონტროლს დროებით მთავრობის წარმომადგენლების ყველა ნაბიჯებს... ჩემის მხრით მადლობას გიძღვნით, რომ აქაურლების წარმომადგენლათ ამირჩიეთ ცენტრში. გაუმარჯოს კავკასიის ინტერნაციონალურ რევოლიუციონურ ცენტრს, რომელიც შესდგება მუშათა, ჯარისკაცებისა და გლეხების დეპუტატებისაგან, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, დაათავა აკაკიმ. დელეგატები მხურვალე ტაშისცემით და ოვაციებით შეხვდენ მის სიტყვას.

აგაჯანიანი. მეც მოგილოცავთ მუშაობის ასე ნაყოფიერათ დაგვირგვინებას... იყო წვრიმალებში უთანხმოება, მაგრამ მათ კერძო ხასიათი ჰქონდათ და დადგენილებები მიღებულია დიდი უმრავლესობით ერთხმათ. ეს დადგენილებები, რევოლიუციონურ მასის მოთხოვნილებაა; მოგიწოდებთ ენერგიულათ და ერთსულოვნათ შეუდგეთ მათ ცხოვრებაში გატარებას... გაუმარჯოს გლეხთა ინტერნაციონალურ სიეზდს, გაუმარჯოს მშრომელ მასას და დემოკრატიულ რესპუბლიკას.

სანამ სიეზდს დახურავდა, ამხ. ნოე ჟორდანიამ მიმართა დელეგატებს მოკლე სიტყვით და უსურვა მათ სიეზდის დადგენილებების ცხოვრებაში ენერგიულად გატარება. დღეიდან არ იქნება ერთა შორის შუღლი, მტრობა. იქნება მხოლოდ ერთი ერი—ერი შრომისა, სთქვა ნოემ. დელეგატებმა მადლობა გამოუცხადეს პრეზიდიუმს, კერძოთ თავმჯდომარეს, ამხ. ნოე ჟორდანიას გამოცდილ ხელმძღვანელობისთვის და ნაყოფიერ მუშაობით კმაყოფილნი, ერთა შორის სოლიდარობის გრძნობით დაიშალენ...

ვენე ალათიშვილი.

სიეზდის მიერ მიღებულ რეზოლიუცია აგრარულ საკითხზე.

„ამიერ კავკასიის გლეხთა დელეგატების სიეზდმა განიხილა რა მიწის საკითხი, საჭიროთ სცნო ახლავე გარკვეულ იქნას გზა მის დამფუძნებელ კრებაზე ძირითად გადასაჭრელათ, აგრეთვე დაუყონებლივ მიღებულ იქნას ზოგიერთი პრაქტიკული ზომები მიწების საქმის ადგილობრივ მოსაწესრიგებლათ.

გლეხების ეკონომიურ მონობისაგან განსათავისუფლებლათ და ქვეყნის საწარმოვო ძალთა განსავითარებლათ, დამფუძნებელმა კრებამ მიზნათ დაისახა შემდეგი:

1) ყველა სახაზინო, სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო და საკაბინეთო მიწები უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოთ და საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, განურჩევლათ სქესისა და ფარული კენჭის ყრით არჩეულ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს გადაეცეს სრულ განკარგულებაში.

2) ყველა კერძო მესაკუთრეების (მემამულეებისა და სხვათ გლეხების) მიწები, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაწესებულ ზომაზე მეტია, გადაეცემა უსასყიდლოთ ამ ორგანოებს.

3) უმიწაწყლო გლეხებს მიეცემათ მიწა ადგილობრივ თვითმმართველობის მიერ დაწესებულ ზომისა. გლეხები, რომლებსაც მიწა დაწესებულ ზომაზე ნაკლები აქვთ, კიდევ მიიღებენ იმდენს, რამდენიც აკლიათ ამ ზომაზე. თავის ადგილების მიტოვების დროს გლეხები იღებენ თვითმართველობისაგან სანაზღაურის ასეთ ადგილში დაბანდებულ შრომისა და კაპიტალის მაგიერ. (შენობები, არხები, მონაკვლა, მცენარეულობა და სხ.)

4) ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები და წყლები გადადის ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა განკარგულებაში; რომლებსაც საზოგადო ამიერ კავკასიური მნიშვნელობა აქვთ, გადადიან ამიერ კავკასიის ცენტრის ხელში.

დროებითი მთავრობას, დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, მიზნათ აქვს შემდეგი ზომები განახორციელოს კავკასიაში:

ა.

1) დაცვა და წესიერი ექსპლოატაცია იმ ტყეებისა, რომლებიც ღვთის ანაბარათ მიუტოვებიათ პატრონებს რევოლიუციის შემდეგ და კერძო მესაკუთრეთა ტყეები, უეჭველ ზომაზე მეტია, გადაეცემა ადგილობრივ საადგილ-მამულო კომიტეტებს.

2) შეშისა და საამშენებლო მასალისთვის ტყის გაჩეხა ამ წელიწადში უნდა იყოს საშუალო მიხედვით უკანასკნელი 5 წლის სარგებლობისა, ხოლო სამხედრო მასალებისათვის —ზედმეტი.

3) შეშისა და საამშენებლო მასალის გაყიდვიდან შემოსული ფული, ხარჯების გამოკლებით, უნდა შეიტანონ სახელმწიფო ბანკში და იქ იქნება დამფუძნებელ კრებამდე, სადაც გადასწყდება ვის უნდა გადაეცეს ეს ფულები.

4) სახაზინო და საუფლის-წულო ტყეები გადადიან სარაიონო ად. კომიტეტების ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტების კონტროლის ქვეშ.

5) სახალხო და სხვა საადგილმამულო ბანკებში ფულების შეტანა უნდა შეჩერდეს დამფუძნებელ კრებამდე.

ბ.

1) ცარიელ მინდვრის და სახნავ მიწების შესახებ ყველა საკითხებს სწყვეტს მომრიგებელი კამერები. იმ საკითხებს კი, რომლებიც დაკავშირებულია მიწის დამუშავება-დათესვასთან, არჩევს საადგილ-მამულო კომიტეტები.

2) საუფლისწულო და სამონასტრო სახნავ მიწების დამუშავება უნდა მიენდოს ადგილობრივ მიწების კომიტეტს, რომელმაც საიჯარო ფული სახელმწიფო ბანკში ცნდა შეინახოს დამფუძნებელ კრებამდე.

3) გამონაკლისს შეადგენს ის სოფლის ადგილები, სადაც გლეხები სცხოვრობენ და იჯარის ფულს იხდიან. იჯარის ფულის გადახდა უნდა შეჩერდეს დამფუძნებელ კრებამდე.

4) იჯარისაგან თავისუფლდებიან ხიზნები, დროებით ვალდებული გლეხები და საზოგადოთ გაუქმებულათ ცხადდება 1912 წლის ივნისის კანონი გლეხებზე გადასახადების შესახებ.

გ.

1) წვრილ მესაკუთრეთა საბალახო მინდვრები, რომლებიც საჭიროა შინაურ საქონლის საძოვრათ, ადგილობრივ საადგილ-მამულო კომიტეტების მიერ უსასყიდლოთ გადაეცემა მათ.

2) საკითხს იმ საბალახოების შესახებ, რომლებიც მეჯოგეებისათვის არის საჭირო, არჩევს აგრეთვე საადგილ-მამულო კომიტეტები.

დ.

1) სათიბი მინდვრების შესახებ საკითხს სწყვეტენ მომრიგებელი კამერები.

ამასთანავე ყრილობა აუცილებელ საჭიროებათ სთვლის გამოსცეს დროებითმა მთავრობამ დეკრეტი დამფუძნებელ კრების მიერ მიწების საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტამდე შეჩერდეს მიწების ყიდვა გაყიდვა, დაგირავება და ჩუქება. შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ კომიტეტის ნებართვით ამ თანხაში დაგირავება, რომელიც საჭიროა სახარჯოთ მიმდინარე წლის განმავლობაში.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

ძ. უ ა რ ხ ი.

19 ივნისს სამოქალაქო საკრებულოში შესდგა მორიგი კრება აქაური ს. დ. ორგანიზაციისა, 800 პარტიის წევრიდან კრებას დაესწრო 500 დე წევრი. კრება გახსნა პრეზიდიუმის წევრმა (მდივანმა) პეტრე ძიმისტარიშვილმა და წინადადება მისცა აირჩიათ თავმჯდომარე. კრებამ ერთხმათ აირჩია ამხ. გაგნიძე, თავმჯდომარემ მადლობა გამოუცხადა კრებას არჩევისათვის და დაიჭირა თავისი ალაგი. შემდეგ ამისა ძიმისტარიშვილმა მოხსენება გააკეთა ხელმძღვანელ კოლექტივის მოქმედებაზე. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ერთი კვირის განმავლობაში ყოფილა ორი კრება, პროპაგანდისტების კოლეგიის. კრებაზე წაიკითხავთ რეფერატი „ისტორიულ მატერიალიზმზე“, და ნაციონალურ საკითხზე.

დღიურ წეს-რიგში იყო კოლექტივის წევრების დამატება, ვინაიდან 6 ძველი წევრები წასულან. წევრებათ დარჩენ კანდიდატები ვაინშტეინი და თევზაძე, მესამეთ კრებამ ერთხმათ აირჩია ზმერლინგი.

შემდეგ ამისა ამხ. გაგნიძემ რეფერატი წაიკითხა „ისტორიულ მატერიალიზმზე და ნაციონალურ საკითხზე“.

ძიმისტარიშვილი.

ხ ა დ. ე ვ ლ ა ხ ი.

11 ივნისს მოხდა დამფუძნებელი კრება ს. დ. მ. პარტიის წევრებისა მუდმივი კოლლექტივის ასარჩევათ. კრებას დაესწრო 60 წევრი. კრების თავმჯდომარეთ დროებით კოლლექ. თავმჯდომარე ამხ. გაბო ებრალიძემ მოხსენება გააკეთა დროებით კოლლექტივის მოქმედებაზე, შემდეგ მოხდა არჩევნები მუდმივი კოლლექტივისა. ფარული კენჭის ყრით აირჩიეს: ამხ. გ. ებრალიძე, ბურჭულაძე, არეშკინი, შენგელია, გუსლიკოვი, გუგბერიძე, შევიაკოვი, ახობაძე და ფეოხარი. კანდიდატებათ: ამხ. შავრიშვილი, ვაშაკიძე, მანჯავიძე, ბეგლოვი და ჩიტაიშვილი. თავმჯდომარეთ აირჩიეს გაბო ებრალიძე. თავმჯდომარის ამხანაგათ ახობაძე. მდივნათ შენგელია. ამხანაგათ ფეოხარი. ხაზინადრათ ბურჭულაძე. შემდეგ იქნა არჩეული სარევიზიო და ფინანსიური კომისიები. შემდეგ მოაწყვეს სალიტერატურო და სხვა სექციები. კრების გადაწყვეტილებით პარტიულ პრესის სასარგებლოთ უნდა გადაიდოს ერთი დღის ხელფასი; ფული უნდა მოეგროვდეს 24 ივნისამდე.

ნოე ფაკიჯვრელი.

ს. ოსიღია (სენაკის მაზრა).

4 ივნისს რ. ს. დ. მ. პ. ადგილობრივ ხელმძღვანელ ჯგუფმა გამართა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა პართენი ჯიქია, მდივნათ სერგი ჯიქია, ხაზინადრათ ალათი დარჯანია. კრებამ სასურველათ სცნო ხშირხშირათ მოიწვიოს პარტიული კრება და წაკითხულ და ახსნილ იქნას გარკვევით პროგრამა. კრებამ აგრეთვე სურვილი გამოსთქვა წაკითხულ იქნას პარტ. ბროშურები.

პ. ოსიღიელი.

რევოლუცია პროვინციაში

დ. ხაბუმი. (ზუგდიდის მაზრა). 18 ივნისს აქ მოხდა ოთხი საზოგადოების: ჭოლის, მუხურის, ჩხოროწყუს და ლეწურწუმის შეერთებული კრება, დაესწრო 600 მდე მოქალაქე ორივე სქესისა. თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. ანტონ საბახტარიშვილი და მდივნად პეტრე პ. გულუა. კრებას დაესწრო ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. სიმონ თოლორდავა, ჭოლის საზოგადოების კომისარმა ლაგვილავამ მოხსენება გააკეთა იმ მეტად სამწუხარო მოვლენის შესახებ, რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა კვირას, 11 ივნისს. მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: ნაშუადღევს 3—4 საათზე აქ მუხურიდან ჩამოსულან დამთვრალნი ორი ახალგაზდა: მაკარი ჩანქველია და დათიკო შენონია, რომლებსაც ჩვეულებრივი აურზაურის შემდეგ სროლაც აუტეხიათ. ერთს ვინტოვკა ჰქონია და მეორეს რევოლვერი. სასტიკად მთვრალ მოყრილ ხალხს ვერა გაუწყვია რა და ადგილობრივ მილიციონერებსაც სროლითვე გაუციათ პასუხი. დაუჭრიათ ჩანქველია და შეუპყრიათ შენონია. მოხსენების შესახებ გაიხსნა კამათი. ამხ. ს. თოლორდავამ წინადადება მისცა კრებას აირჩიოთ დამნაშავეთა მოქმედების გამომძიებელი 5 კაცისაგან შემდგარი საგამომძიებლო კომისია. წინადადება მიღებულ იქმნა.

მოლის ილაპარაკა ნ. ჯულმა ბ. ლოლუამ, გააცნო საზოგადოებას ლოთობის წინააღმდეგ სამართლებრივად შემუშავებული კანონ პროექტის შინაარსი და ძირითხოვა დასახელებულ ადგილებში ღვინის გაყიდვის მოსპობა. ეს წინადადებაც მიიღო კრებამ და ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

1) ხაბუმის პოსტის მილიციონერებს გამოეცხადოს მადლობა ოთხივე საზოგადოების სახელით თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის;

2) დამნაშავენი მაკარი ჩანქველია და დათიკო შენონია გადაეცეს სასამართლოს;

3) მათი მოქმედების გამოსაძიებლად არჩეულ იქმნეს 5 კაცისაგან შემდგარი საგამომძიებლო კომისია: ორი ჭოლის და თითო მუხურის, ჩხოროწყუს და ლეწურწუმის საზოგადოებებიდან;

4) გამოეცხადოს ზიზღი მთვრალებს და დაგმობილ იქნას ლოთობა, რისთვისაც აკრძალულ იქნას დასახელებულ ადგილებში ღვინის გაყიდვა და აგრეთვე კარტ ნარდის თამაში;

5) მთვრალები საზოგადო ადგილებში გამოჩენის დროს შეპყრობილ იქნენ და მიცემული პასუხისგებაში;

6) მოისპოს უმოწმობოდ იარაღის ტარება.

პეტრე პ. გულუა.

ხ. იყალთო. (თელავის მაზრა). 15 თიბათვეს სოფ. იყალთოში დანიშნული იყო იყალთოს რაიონის გლეხთა საბჭოების ყრილობა. ყრილობას უნდა აერჩია წარმომადგენლები კავკასიის გლეხთა ყრილობაზე დასასწრებლად. ყრილობას დაესწრო 57 კაცი.

ამოირჩიეს ამხ. არველაძე, კ. ს—ლი, ფარეშიშვილი და ყოდალაშვილი.

კრებაზევე წარმოითქვა აზრი ღვინის გაყიდვის შესახებ, თუ რა უნდა უყოს გლეხობამ ღვინოს, რომლისაც მის გაყიდვასა ჰკრძალავენ. ამის შესახებ ის აზრი გამოსთქვეს, რომ თვით მთავრობამ შეისყიდოს ღვინო და მონოპოლიის ქვეშ გაყიდოს, როგორც მას მოესურვება. **სოფლელი ამხანაგი.**

დ. ბორჯომი. 18 ივნის დ. ბორჯომში მოხდა ბორჯომის საზოგადოების გლეხთა ყრილობა, რომელსაც უნდა აერჩია თფილისში გლეხთა ყრილობაზე გასაგზავნი ორი დელეგატი. ამის გამო ხაშურიდან სავანგებოთ ჩამოსულიყო ხაშურის გიმნაზიის დირექტორი ბ. მდივანი, რომელმაც ილაპარაკა სოც.-ფედერალისტების სახელით. უპასუხებდნენ სოც.-დემოკრატები. ბ. მდივანი ცდილობდა დაერწმუნებინა გლეხები, თითქო სოც.-დემოკრატებს მათი გადამტერება უნდათო. გლეხებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და სოც.-დემოკრატების თანამოაზრე გლეხები აირჩიეს: გიორგი და ვასილ გელაშვილები. მთელ ხეობაში მოწყობილია გლეხთა სასოფლო საბჭოები. ამ დღეებში მოხდება მათი კრება, აირჩევენ სარაიონო გლეხთა საბჭოს. **ნოდი.**

პროვინციის ცხოვრება.

გამოჩინებულის საზოგადოება. (სამეგრელო). 18 ივნისს გამოჩინებულის მცხოვრებთა მიტინგმა, რომელსაც ათასამდე კაცი და ქალი დაესწრო. დელეგატათ გლეხთა სიეზდზე დასასწრებლათ ფართული კენჭის ყრით აირჩიეს ამხ. ევტიხი ლორია, სოც.-დემ. მან სიტყვა წარმოსთქვა და აღუთქვა ხალხს, რომ ის მშრომელი მასსის ინტერესებს დაიცავს გლეხთა დეპუტატების საოლქო ყრილობაზე.

გამოჩინებულის საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტი შეძლებისად თვალყურს ადევნებს ხსენებულ საზოგადოებაში წესიერების დაცვას. სხვათა შორის ამ. კომიტეტმა საჭიროთ სცნო მოეთხოვა ანგარიში „აბაშის შენახველ-გამსესხებელი ამხანაგობის გამგეობისათვის“, რომელიც მოქმედობს თურმე სათანადო წესდების გარეშე და მესამე წელი მიმდინარეობს, რაც საზოგადო კრება არ მოუწვევიათ და წევრებისათვის არავითარი ანგარიში არ წარმოუდგენიათ. როგორც ირკვევა ამხანაგობის წარმოებაში ბევრს არასასურველ მოქმედებებს ქონია ადგილი, რის გამოც წევრებს უწესოების გამო გული გატეხია და 200 წევრიდგან მხოლოდ 50 მდე წევრი შერჩენია დღეს ხსენებულ ბანკს.

წევრების უმრავლესობა ამხანაგობის ლიკვიდაციის მომხრე ყოფილა, რადგან ამგვარ კოოპერატიულ დაწესებულებას უწესრიგობის გამო ვერავითარი სარგებლობა ვერ მიუცია მშრომელი ხალხისათვის.

აქაურ სოფლებში ხალხის უმრავლესობა დიდ გაჭირვებას განიცდის სიმინდის უქონლობის გამო და შველა კი არსაიდგან არის. აქა-იქ ზოგიერთებს აქვსთ სიმინდი, მარა ჯერ არ ყიდიან და ელიან ფასის აწევას. საჯავახოს კოოპერატივში სიმინდი 3 მ. მეტი ღირს.

—„თეხ-კაფე“.

მცირე შენიშვნა.

გუშინდელ „სახალხო ფურცელში“ ამიერკავკასიის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობის ანგარიშის ერთი ადგილი ასეა მოთხრობილი: ლაპარაკობს—„სრულიად რუსეთის მუსულმანთა ორგანიზაციის წევრი ზამატოვი: ომი სწარმოებს და მრავალი სისხლი იღვრება. სამწუხაროდ ეხლავე ომის შეჩერება არ შეიძლება და ჩვენც არ მოვითხოვ, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რისთვის ვიბრძვით. (დარბაზში ხმაურობა იწყება). მე ვიცავ იმ დადგენილებას, რომელიც სრულიად რუსეთის მუსულმანთა ყრილობამ გამოიტანა (იმის ყვირილი: ძირს, ორატორს ბაზირად აწყვეტინებენ სიტყვას. დიდი აურზაური. ლაპარაკს უშლიან რუსები და სოციალ-დემოკრატები. ხაზი ჩვენია). მე ვაცხადებ, რომ ხალხს სიმართლეს უმალავენ და იმპერიალისტური მისწრაფებებით გამსჭვალულნი, ბურჟუაზიული ელემენტების ზედგავლენით ძალას ატანენ (შფოთი, ვინ ატანს ძალას, ძირს, აქეს თუ არა მანდატი) საჭიროა გავიგოთ ხელშეკრულობა, რომ გავაგძელოთ, თუ ის განმათავისუფლებელი ომია“. (ყვირილი, აურზაური).

ნამდვილათ კი, ბეზბატოვს ლაპარაკის დროის ხელს უშლიდა და ხმაურობდა ბლოკი დაშნაკელთა, სოციალისტ-რევოლიუციონერთა და ფედერალისტთა და ოთაცა ბლოკის ერთი წევრთაგანი ამ ბლოკის ნამოქმედარს სხვა პარტიებს აჰკიდებს თავზე—კითხვა იბადება: რისთვის, რა მოსაზრებით უმალვენ ფედერალისტები მკითხველებს სიმართლეს? ნუ თუ იმ მიზნით, რომ მოინახონ თავისი სამარცხვინო ბლოკი დაშნაკელებთან, რომელთა ფიზიონომია ყრილობამ საბოლოოთ გამოაშკარავა?

სად. თფილისი.

19 ივნისს, ქუთაისისა და თფილისის შუა მგზავრობის დროს არა სასიამოვნო სურათი ვნახე: როდესაც სად. ქუთაისიდან ბორჯომიდან მომავალი მატარებელი № 18 წამოვიდა, ერთი მახლობელი ხაზულში შესულიყო. ამ დროს სხვათა შორის იქ მდგარან, ვაგონების დამგველი და კავკ. რკინის გზის ბატალიონის ერთი ჯარის-კაცი. ჯარის-კაცს ვაგონის გასადებით გაღლა კარები (ალბათ, დამგველმა მისცა) და შიგ შევარდნილიყო, როდესაც ლრომ. დღლის ბაქანზე გავჩერდით, გამოვარდა გაწეწილი ქალი მეორე სამგზავრო ვაგონში, „კორიდორში“ შევხვდით მე და კონდუქტორი № 75 გაიძახოდა: მიშველე თუ ძმა ხარ და სხვ. სალდათი შემომივარდა ხაზულში. წავედ, მინდოდა მატარებლის კომენდანტისთვის გადმეცა ჯარის-კაცი, წავუყვანე კიდეცა მაგრამ დიდუბის ჩამოსახტომზე გადახტა და მიიმალა. ვსთხოვ ყველა ამხანაგ ჯარის-კაცებს ყურადღება მიაქციონ ამ არა საუფლო მოვლენას.

დამხწრე.

გაზეთის სასარგებლოთ.

ჯოვახლივიდან სტამბის ფონდი მივიღეთ: 1) სპირიდონ ჩიქოვანისაგან 10 მ., 2) ბალვა ლეჟავასაგან 10 მ., 3) დიმ. მუშკუდიანისაგან 5 მ., 4) ლევ. გოგობერიძისაგან 5 მან., 5) ალექსი რაშიშვილისაგან 10 მან.

„ერთობის“ ფონდისთვის მე-4-ხე თურქესტანის მსროლელ დივიზიის შემხვევ ატრიადში მყოფი ქართველებისაგან გიგზავნით 30 მ. 60 კაპ.

ამხ. მონდობ. შუშელიძე და მახარაშვილი.

გიგზავნით 22 მ. 35 კ. ამხანაგებში შეგროვილს გაზ. „ერთობის“ და „ხალიონის“ ფონდის გასაძლიერებლათ, ორივე რედაქციის თანასწორათ. ამხ. მონდ. ერ. მაღრაძე.

„ერთობის“ ფონდისთვის ფელდსერ ანჯაფარიძისაგან ამხანაგებში შეგროვილი 20 მ.

ქ. თფილისის მე 9 ე უბნის ერთი ნაწილი მილიციონერები გაწყდით ჩვენ წვლილს 71 მან. „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ და ვეცდებით კიდევ მალე მოვაწოდოთ.

ამხ. მონდ. ალექს. აბულაძე.

ქ. ოფა (ლიზისტანი). გიგზავნით აქაურ მუშ. ამხანაგ ქართველებ შორის შეგროვილ წვლილს (65 მ.) და იმედი გვაქვს ამ ფულიდან 15 მ. გადასცემთ „ერთობის“ რედაქციას და ნარჩენს 50 მ. გადასცემთ სოც.-დემ. სტამბის ფონდს.

პატ. ხაზინ. ილარიონ გიორგაძე,

პარ. კორ. მელქისედეკ ცინცაძე.

გთხოვთ ეს 5 მან. გადასცეთ „ერთობის“ ფონდს ნინა ჯანელიძის გარდაცვალების სახელის აღსანიშნავათ. მამა მისი დიომიდე ჯანელიძისაგან.

რუმინიის ფრონტიდან 651 პოლოლსკი დრუჟინაში მოსამსახურე ქართველ და მეგრელ ჯარისკაცებმა და სხვა ნაწილის ქართველებმა შევაგროვეთ გაზეთ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ 22 მან. 70 კაპ. სულ გიგზავნით 26 მან. 70 კაპ. მოგვაწოდონ თორმეტი ცალი სოც.-დემ. პროგრამა. და ნარჩენით სოც.-დემ. ბროშურები.

ამხ. მონდ. დათიკო დავითის ძე წერეთელი, აქსენტი ნ. ჩინჩალაძე.

გიგზავნი 8 მ. 20 კ. გთხოვთ გაანაწილოთ შემდეგნაირათ: სამი თვით გამოიწეროთ გაზეთი „ერთობა“, 2 მან. გადადვათ სტამბის ფონდისათვის და 2 მან. კი მოახმაროთ (ჩიბათი) სოფ. ჭალაის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს.

პატ.-ცემით მაღ. გ. ფ ირულავა.

სად. კურუკჩაიდან დავით ხოჭოლავასაგან მივიღეთ 4—60 კ. პარტ. სტამბის ფონდის გასაძლიერებლათ.

წერილები რედაქციის მიმართ.

სამტრედიის მუშ. და ჯარ.-კაც. დეპ. საბჭ. და რკინის გზის ალმ. ცენტ. კომიტეტის საყურადღებოთ.

19 მარტს 1917 წ. კომიტეტის განკარგულებით მე დამაპატიმრეს და გამაგზავნეს ქუთაისში, ვითომდა ბოროტმოქმედი, ვინაიდან არ აღმოჩნდა ამისი საბუთი, 23 მარტს გამანთავისუფლეს, ჩამოვედი სამტრედიაში, რომ შევდგომოდი სამსახურის აღსრულებას, მაგრამ აქ ახალი ამბავი დამიხვდა: სადგურის უფროსის მოადგილემ გვამიჩავამ თანახმათ გამოცხადებისა ადგილობრივი „მოძრაობის უფროსის“ დეპუტატების საბჭოს დადგენილებისამ სამსახურში არ დამიშვა. აქედან იწყება პროცესი, რომელიც დღესაც არ არის დასრულებული. მაშინათვე შევიტანე განცხადება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში, რომ გაერჩიათ ჩემი საქმე. საქმის გარჩევამ გასტანა სამი თვე, რის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩემს დაჭერაში და სამსახურიდან გადაყენებაში დამნაშავეთ იცნეს ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ჟუჟუნაძე და ქუთაისის კასირი ლოდიპერიძე.

დადგენილებისავე თანახმად რკინის გზის მოძრაობის უფროსი დეპეშით 16 ივნისს აცნობებს, რომ მე ჩემს ადგილს დავუბრუნდე. სადგურის უფროსი ახდენს განკარგულებას 18 ივნისს, მე ვიბარებ კასას. მაგრამ 15 წუთის შემდეგ იგივე სადგურის უფროსი ახდენს ახალ განკარგულებას, უკანვე ჩავაბარო კასა, მასთან აძლევს დეპეშას მოძრაობის უფროსს მთელი მოსამსახურეების და მუშების სახელით. აღმოჩნდა, რომ შემოსულა განცხადება კომიტეტში 9 კაცისა და არა მთელი მუშებისა და მოსამსახურეებისა, სადაც ნათქვამია, რომ თუ მე აქ ვიმუშავე ისინი გადიან. ამ 9 კაცთა შორის არიან „იპოლიკანებიც“. 1) სამტრედიის სადგურის უფროსის თანაშემწე ღვამიჩავა, რომელიც ჟანდარმების სიაში სჩანს როგორც „პროვოკატორი“ და სანდო პირი ჟანდარმერიისთვის, რომლის წინააღმდეგ არის შეტანილი კოლექტიური განცხადება 65 კაცისაგან ხელმოწერილი, რომ ის გადაყენებულ იქნას სხვაგან. მაგრამ ის მაინც განაგრძობს სამსახურს; 2) აწყონავი ცირიკიძე, რომელმაც გასცა 17 მარტს ჩემს დაპატიმრების გამოუწერავი საქონელი, მე მივიღე საყურადღებო მუშ. საბჭოსაგან; 3) აწყონავი ბერიძე, ღუნდუა და კასირი ქორდანია, მოვითხოვ ვისგანაც ჯერ არის გადაიშინჯოს მათი და ჩემი ფორმულარი და იქ გამოჩნდება ვის შეუძლია მუშაობა და ვინ არის ღირსი გაძევებისა. განცხადება შევიტანე ადგილობრივ კომიტეტში, ის კი არ არჩევს მას და არც ჩემგან ითხოვს ახსნა-განმარტებას. გამოდის რომ კომიტეტი (ცხრა კაცის განცხადებას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვინემ მუშ. საბჭოს დადგენილებას, განცხადებაზე აწერს რეზოლიუციას და უგზავნის მოძრ. განყ. უფროსს, სადაც ითხოვს ჩემი სხვა სამსახურის მიცემას, რითაც არღვევს წესდების 18, 28 მუხლებს პუნქტი № 191. და რკინის გზის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებას დეპ. № 469, 12 ივნისიდან, რომლის ძალით სამმის გამოძიების დამთავრებამდე, მე უნდა ვიმყოფებოდე სამსახურში, არც ერთი და არც მეორე ადგილობრივმა კომიტეტმა არ შეასრულა. ვინაიდან ჩემს წინააღმდეგ არ არის წამოყენებული სერიოზული საბუთები, რაც სჩანს საქმიდან, მე მოვითხოვ მიაქციონ ყურადღება ამას სამტრედიის მოსამსახურეებმა. თუ ვინმეს რამე აქვს ჩემს წინააღმდეგ ვთხოვ აშკარად გამოვიდეს და დამიმტკიცოს, რასაც მე დიდის სიამოვნებით მივიღებ, და თუ არა მოვითხოვ ბოლოს ბოლო ამ ჩემს დამცირებას.

ხევერიანე ფრანგიშვილი.

თქვენი გაზეთის მე-№ 68 მოთავსებულია კორესპონდენცია სათაურით: „ნაციონალისტები სოფლად“. ამ წერილის ავტორი მეხება მე, როგორც პიროვნებას და როგორც საზოგადო მოღვაწეს. ჩემ რწმენას ვემსახურები სრულიად გულწრფელად (შეიძლება შემცდარიც ვიყო!), რაც დავამტკიცე 1905—1906 წლებშიაც. ჩემ რწმენას მე ვემუშავე და განვათავსე 1881 წლიდან „ნაროდნიკულ“ ნიადაგზე; და მე 90-იან წლებში, როდესაც საქართველოში გაჩნდა მესამე დასი, ჩემი მიმართულება ზოგადად დამთავრებული იყო. დღესაც ამავე ნიადაგზე ვდგევარ, და ჩემი რწმენა ამ შემთხვევაში ურყეველია.

თქვენი გაზეთის კორესპონდენტი სწერს: „ბ-მა ქადაგიძემ ჩაიგდო (?) ხელში თფ. ალმ. კომიტეტის რწმუნებული და კრებაზედაც არ დაუშვეს“. ვფიქრობ, რომ აქ ლაპარაკი უნდა იყვეს ამხ. ჩიხლაძეზე, და თუ ეს მართალია, მაშინ **ხიმართლე** შემდეგშია: თფ. კომიტ. სახელით ამხ. ჩიხლაძემ წარმოუდგინა კომიტეტს ქაღალდი, რომელშიაც ეწერა, რომ ამხ. ჩიხლაძე იგზავნება, რათა დახმარება გაუწიოს თ. ალმ. კომ. ორგანიზაციების მოწყობაში. მაშინვე წინადადება შემოიტანეს, განეხილათ საკითხი. ამხ. ჩიხლაძეს ეთხოვა გასულიყო ცოტა ხნის გარეთ. კამათის შემდეგ, კომიტეტმა დაადგინა: რადგან ჩვენ ჩვენი ძალ ღონით შეგვიძლიან გაუძღვეთ საქმეს, ამისათვის საჭირო არაა თფ. ალმ. კომიტ. დახმარებაო; ამასთანავე გამოითქვა ის აზრიც, რომ თფილისი ძალიან სცდება, რომ ითვისებს ჩვენ უფლებასო... ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს იყო რევოლუციის პირველ ხანებში... მოვიხმეთ ამხ. ჩიხლაძე და თავმჯდომარის პირით (ჩემის) გამოუცხადეთ კომიტეტის დადგენილება. რომ ეს ასე მოხდა და არა—„ბ-მა ქადაგიძემ ჩაიგდო ხელში“—ამას დაამოწმებს მთელი კომიტეტი.

შემდეგ ის სწერს: „ამავე ქადაგიძემ არევდარევა შეიტანა მთელ თუშ-ქართველობის რაიონში, იმ დროს, როდესაც საჭიროა გაერთიანება (ხაზი ჩემია), ამ დროს ქადაგიძე აგიტაციას ეწევა—ალვანის თუშები გამოეყოს თავის რაიონს და თელავის რაიონში შევიდნო“. როგორც ხედავთ, თითქმის ერის წინაშე დალატი მბრალდება. ალვანის მიტინგის ამბავის ხიმართლეც ასეთია. მე შემატყობინეს—ალვანში მიტინგია და უსათუოდ უნდა წამობრძანდეო, მე თანხმობა გამოვაცხადე და ამხ. მაჭავარიანს (ს. დ.) წინადადება მივეცი წამოსულიყო. მეორე დღეს მე და ამხ. მაჭავარიანი, ცინცაბაძე და კობიძე (სამივე ს.-დ.) გავემგზავრენით ალვანში და მივედით მიტინგზე. სიტყვები წარმოითქვა მომენტის შესახებ და, სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა გადაღმელ ქისტებზე (სოფ. ჟუცო და სხვა) და თუშებ შორის დამოკიდებულებაზე. პირიქითის თემის ერთმა თუშმა სთქვა: „ჩვენ ქართველები რას გვარგებენო (ქისტებთან ბრძოლაში)“? თუშებისა და ქართველების ამ გვარად დაპირდაპირებისათვის მე ის თუში სასტიკად გავკიცხე და მივმართე მიტინგს თქვენ ვინა ხართ მეთქი. ერთ ხმად დაიყვირეს: „ქართველები, ქართველებიო“. ეს იყო და ეს. მიტინგის ამბავს დაამოწმებს ჩემი ზემოხსენებული სამი ამხანაგიც.

ის მაბრალებს: „თუშების მიტინგზე სოც.-დემოკრატები მოღალატეებათ, მოსყიდულებათ გამოაცხადეო“ ვთქვათ, მე ამას ვამბობდი. ის ჩემი სამი ამხანაგი, მიმართულებით ს.-დები, ნეტა ან მაშინ რას ჰფიქრობდნენ, ან აქამდის ჩუმათ რად არიან? მე დიდი ხანია ვცდილობ, რომ თუშები შემოუერთდნენ თელავის მაზრას. ამის შესახებ რამდენჯერმე აღძრული იყო შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე.

თელავ. ალმ. კომიტ. გამოაცხადა თუშების ოთხივე თემის წარმომადგენელი და განუცხადეს, რომ მათ სურთ თელავის მაზრაში გადმოსვლა. თ. ალ. კ-მა მარტის 22-ში დაადგინა: შემოიერთოს თუშები და ეს დადგენილება წარედგინოს ამიერ კავკასიის კომისარიატს დასამტკიცებლად. განა თუშების თიანეთის მაზრიდან თელავისაში გადმოსვლა ღალატია ერთობისათვის მავნებელი? თელავთან შემოერთება სრულიად არ ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ რაიონთან კავშირს სწყვეტენ.

დასასრულ ვსთხოვ ამხ. მაჭავარიანს, ცინცაბაძეს, კობიძეს და ჩიხლაძეს გამოსთქვან თავიანთი აზრი კორესპონდენციის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მე მეხებათ და იმის შესახებაც, თუ როგორ ვიქცევი კომიტეტში (ეს არ შეეხება ამხ. ცინცაბაძეს და კობიძეს)

დ. ქადაგიძე.

აბაშის სოფლის უფასო სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს ბ. ბ. მელიტონი დიმიტრისძე იოსელიანს და გრიგოლ ირაკლისძე თოფურიძეს, რომლებმაც გადმოსცენ მე სამკითხველოს სასარგებლოდ 363 მ. 50 კ. შეგროვილი თავიანთ მეგობარ ნაცნობებთა შორის.

გამგეობის თავმჯდომარე ირ. თოფურიძე.

მადლობას უცხადებ ამხ. პროკოფი ბილიხოძეს, რომელმაც ოცი მანეთი შემოსწირა ჯუმათის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს. ჯუმათის სამკითხველოს გამგეობა აფრასიონ ურატაძე, იაკინთე მექვაბიშვილი.

მადლობას უცხადებთ ამხ. იონა გ. ხარგელიას, რომელმაც „ერთობა“ ერთი წლით გამოუწერა თამაკონის შრომის მიწისმუშაველთა საზოგადოება „იმედი“-ს.

საზოგადოების გამგე მღ. ამბაკო ჯავახია.

ბახვის ორკლასიან სასწავლებლის სამზრუნველო დიდ მადლობას უცხადებს ყარამან და მიხაკო ცეცხლაძეებს, რომელთაც თავის ახლად გარდაცვლილ დედის ხსოვნის აღსანიშნავად ხსენებულ სასწავლებელს შესწირეს 50 მანეთი. მონდობილობით მ. რა—ძე

მადლობას უცხადებ ტრიფონ დავითისძეს ქოიავას, რომელმაც ოცდა ხუთი მანეთი შემოსწირა აბაშის სოფლის სამკითხველოს.

სამკითხველოს გამგე ირ. თოფურიძე.

ხოფ. ფამფალეთი (გურია). სოფ. ფამფალეთის უფასო სამკითხველოს გამგეობამ უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირებს, ვინც დახმარება გაუწია ჩვენს სამკითხველოს: უფასოთ შენობის დათმობით, გაზეთების გამოწერით და ფულის დახმარებით.

სამკ. გამგ. მონდობილობით გამგ. წევრი იპოლიტე ინწკირველი.

მადლობას უცხადებთ სოფ. აბაშის (სენაკის მაზრა) მცხოვრებთ ამხ. ტრიფონ დავითის ძე ქოიავას, რომელმაც შემოსწირა აბაშის საზოგადოებას ორმოცდაათი (50) მანეთი. საზოგადოების მონდობილობით ხევსარიანე ქოიავა.

ხარიტონ დომენტისძე მექვაბიშვილმა, რომელიც მუშაობდა ფოთში საბახტარიშვილის ხერხის ქარხანაში, თავის ნებით მიატოვა სამსახური და სადღაც წავიდა. გთხოვთ ამხანაგებს თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გადასცენ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს და კომიტეტმა წარმოგვიდგინოს ჩვენ.

ჯუმათის სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი იაკინთე მექვაბიშვილი.

გაზეთ „ერთობის“ № 78 მოთავსებულია წერილი ოქროპირ ჭანტურიასი, რომელიც იწვევს ამხ. ხორეთელს სამედიატორო სასამართლოში თითქოს მას მისთვის ცილი დაეწამებიოს (60 მან.) ორგანიზაციის ფულების მითვისებაში. ადგილობრივი კომიტეტი წინადადებას აძლევს ხსენებულ ოქროპირ ჭანტურიას, ცილის წამება უკანვე წაიღოს, რადგან ეს საზოგადოების დადგენილებაა და ამ საქმეში ხორეთელი არ არის პასუხის მგებელი.

ჩოხატაის აღმასრულებელი კომიტეტი: მ. ამყანდაძე, ფ. გურგენაძე ნ. ანდღულაძე.

ძებნება

ჯარის კაცთა ხაზობა.

ჯარის კაცი მანასე პავლეს ძე პატარაია მსახურობდა მოქმედ ჯარში მე-79 დივიზიაში მე 313 ბალაშოვის ქვეითა პოლკში მე 13 როტაში, მე-2 ზვოდში. ვთხოვთ ვინც რამე იცის მის შესახებ შეატყობინოს შემდეგი მისამართით: ст. Ланчхуты, Кут. губ. село Чибати პავლე ივანეს ძე პატარაიას.

— სილიონ ონისიმეს ძე ხუციშვილი მსახურობდა მეექვსე მესაზღვრე პოლკში, მეორე როტაში. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: სოფ. ჩალუანი (შორ. მაზ.) ონისიმე ხუციშვილი.

— ჯარის კაცი პავლე ალექსის ძე ქვანი მსახურობდა მე-221 სათადარიგო პოლკში, მე-12 როტაში, მე 4 ზვოდში. ვთხოვთ გვაცნობონ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ. Черезъ Наогалеви, сел. Киція (Кут. губ.) Петру Гугунава.

ჩვენი ფოსტა.

ვლ. აბრამიშვილს. აცნობეთ ეს ამბავი ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირის ბიუროს, ჩვენ ერთი მუშაობ. არ იბეჭდება.

რედ.-გამომცემელი **ვლ. მ. ბოხუაძე.**

გამოვიდა საკოოპერაციო ბიბლიოთეკის № 11

„50 წლიწადი სამომხმარებლო კოოპერაციისა რუსეთში“,

მ. ლ. ხეისინისა, თარგმანი ი. გ—აისი.

შეიცავს 84 გვ. იყიდება 2 აბაზათ. კოოპერატივებს ტ წიგნის მაღაზიებს ეთმობა 20—25% დაკლებით მხოლოდ არა ნაკლებ 25 ცალისა. მისამართი: Кутаисъ. Редакція журнала „Кооперація“.

აქედანვე შეიძლება კოოპერატივებისა და მათი კავშირების დასაარსებლათ საჭირო სანიმუშო წესდებათა გამოწერა. 10—5

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба».

Подписная цѣна на годъ 15 р., на 6 мѣс. 8 р., 3 м. 4 руб. 20 к., 1 мѣс. 1 р. 40 к.

სრულიად-რუსეთის სტამბა რუსთაველის გამზირი შესახვევი № 1.